ახალი განათლება

26 ნოემბერი - 2 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№36 (710) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გვერდი 4

26 წლის პედაგოგი 5-წლიანი გამოცდილებით

დოქტორანტურის სტუდენტი, ისტორიის და სამოქალაქო განათლების სერტიფიცირებული პედაგოგი, პროფესიით – ეთნოლოგი, არაერთი ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი, სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების ავტორი და თანაავტორი – ეს არის მოკლე ჩამონათვალი **გიორგი ავთანდილაშვილის** ბიორგაფიიდან. ანთროპოლოგიის დოქტორანტურის სტუდენტს წინ დიდი გეგმები აქვს, თუმცა არც სკოლა და მოსწავლეები რჩებიან მისი გეგმების მიღმა. ჩემი რესპონდენტი ამბობს, რომ სკოლაში ისტორიის მასწავლებლად შემთხვევით მისული 21 წლის ახალგაზრდასთვის ვინმეს რომ ეთქვა, მასწავლებელი მოწოდებით უნდა იყოო, გაიცინებდა, მაგრამ ახლა თავადაც ასე მიიჩნევს და მეტიც, ახალგაზრდებს მოუწოდებს, რაღაც აღმოაჩინონ საკუთარ თავში და იპოვონ მიზეზი, რომ გახდნენ პედაგოგები. ამბობს, მასწავლებლობის პროცესში ყველაზე მეტად ის მოსწონს, რომ „ვხედავ, რაღაცას ვცვლი და ვგრძნობ, რომ იმ დროს იქ ვარ საჭირო...“

მისი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი ფარნავაზია და საერთოდაც მიიჩნევს, რომ ფარნავაზის მეფობის ეპოქა ყველაზე საინტერესო ეპოქაა საქართველოს ისტორიაში. მოსწავლეებთან კი ხშირად ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობით უამაყია, რადგან ექვთიმე თაყაიშვილი მისთვის გამორჩეული მოღვაწეა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად.

მოგვიანებით აღმოაჩინა, „რა ღრმა ყოფილა მასწავლებლის პროფესია“.

გვერდი 3

პრიორიტეტი – სწავლის ხარისხი და უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა

რუბრიკის „ინტერვიუ რექტორთან“
სტუმარია გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის
რექტორი
მამუკა თავხელიძე

ცვლილება მხოლოდ ტექნიკურ-ფორმატულ განსხვავებას შეეხება

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული
ცენტრის უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი
რუსუდან ტყემალაძე

გვერდი 2

ეროვნული გამოცდები 2016

ცვლილება მხოლოდ ტექნიკურ-ფორმატულ განსხვავებას შეეხება

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი რუსუდან ტყემალაძე

ნაწილობრივი ელექტრონული ფორმატი მართლაც მნიშვნელოვანი, საეტაპო ცვლილებაა. ე.წ. ქაღალდზე დაწერილი ტესტის ნაცვლად, აბიტურიენტებს მოუწევთ ეკრანზე წაიკითხონ დავალებები და ისე შეასრულონ. მათ ამობეჭდილი ტესტები არ ექნებათ. ეს სიახლე უფრო მეტად ფორმატულ ცვლილებას ეხება, ვიდრე შინაარსობრივს, ანუ შინაარსობრივად ჩვენი ტესტი როგორც იყო 100-დავალებიანი და როგორი სახის დავალებებიც იყო ტრადიციულად (ბოლო ორი წელია, შემოვიტანეთ მოსმენა, როგორც პირველი დავალება და წერითი დავალება – წერილი), ისეთივე რჩება და სიახლე არ იქნება. ალბათ, არც იქნებოდა სწორი, რომ იმ ტექნიკური სიახლის გარდა, რაც ასე მნიშვნელოვანია, კიდევ შინაარსობრივი ცვლილებები შემოგვეტანა. ასე რომ, ცვლილება შეეხება მხოლოდ ტექნიკურ-ფორმატულ განსხვავებას.

უცხოური ენის გამოცდის ხანგრძლივობა იყო ორსაათ-ნახევარი. ახლა არ შემიძლია ვთქვა, ეს შეიცვლება თუ არა, რადგან მოსალოდნელია ამ ფორმატის პილოტირება. ყველაფერი ნათელი გახდება მას შემდეგ, რაც გამოიცდება ელექტრონული ფორმატი, უკვე რეალურად, მომავალ აბიტურიენტებზე. ჩვენ გავაკეთებთ სპეციალურ სავარჯიშო ტესტს და ის გვიჩვენებს, რამდენად მისაღებია ეს დრო.

თუ ბეჭდური ტესტების ერთ ფურცელზე, დავუშვათ პირველ დავალებაში, ერთად იყო მოთავსებული ათი დავალება, ახლა ეს ხუთ ელექტრონულ გვერდზეა გაშლილი. ნახეთ, როგორი ტექნიკური განსხვავებაა, შინაარსობრივად, თითქოს არაფერი, მაგრამ ის, რაც იყო ერთ გვერდზე და აბიტურიენტს არ უხდებოდა ამ გვერდის ხშირად გადაფურცვლა, ეკრანზე ხუთ გვერდზეა გაშლილი, თითოზე – ორ-ორი. ე.წ. ელექტრონული გადაფურცვლა რთული არ არის, საკმარისია ერთ ღილაკზე თითის დაჭერა, რომელიც მოსწავლეს წაიყვანს მარჯვნივაც და მარცხნივაც, მას შეუძლია გადავიდეს შემდეგ დავალებაზე ან დაუბრუნდეს წინას. რასაკვირველია, თუ ადრე ტესტი იყო, დავუშვათ, 16-გვერდიანი, ახლა 32 გვერდია, მაგრამ ამ შემთხვევაში გვერდი ძალიან პირობითია, რადგან ჩვენ ეს დავალებები ეკრანზე სპეციალურად გავზარდეთ, რომ თვალისთვის მოსახერხებელი იყოს, გავზარდეთ, ასევე, ასოების სიდიდე და ამგვარად გაშლილი დავალება უკეთ კითხვადია, ვიდრე ბეჭდურ კრებულის ფურცელზე იყო. ამას თავისი უპირატესობები, რასაკვირველია, აქვს.

როდესაც პირველი დავალება ვახსენე, მოსმენის დავალებას ვგულისხმობდი, რაზეც აბიტურიენტებმა კარგად უნდა ივარჯიშონ იმიტომ, რომ ტესტის ტექნიკური ნაწილი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შინაარსობრივი. როგორც მოგახსენეთ, ერთ ფურცელზე განთავსებული დავალება ხუთ გვერდზე (მოსმენის ორ-ორი დავალება თითო გვერდზე) გაიშალა. ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ აბიტურიენტმა უნდა ივარჯიშოს სწორედ იმაზე, როგორ გადაფურცლოს დავალება კომპიუტერის ეკრანზე. ამავდროულად, ძალიან ბევრი ვარჯიში დასჭირდება იმასთან დაკავშირებითაც, ამ დავალებას რომ მოისმენს, უნდა მოახერხოს სწორი პასუხის ჩანიშვნა, სანამ მეორე დიალოგი ან ტესტი დაიწყება. ადრე ასე იყო – ფურცელზე შავად ინიშნავდა სწორ პასუხს და მერე პასუხების ფურცელზე გადაჰქონდა. მას ახლაც ექნება შავი ფურცელი, რომ იგივე გააკეთოს, მაგრამ აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი – მან ჯერ უნდა უყუროს ეკრანს, რომ ოთხი შესაძლო პასუხიდან სწორი ამოირჩიოს, მერე დაიხედოს ქვევით, მაგიდაზე, პასუხების ფურცელზე დაწეროს სწორი პასუხი და ისევ სწრაფად ეკრანზე გადაიტანოს ყურადღება, რომ შემდეგ დავალებას მოუსმინოს. აქ ადამიანს კომბინირებული უნარები სჭირდება, რაც ადვილი მისაღწევია ვარჯიშის შედეგად.

მოსმენის ნაწილისთვის გამოყოფილია 12-13 წუთი, რადგან ოთხი ენაა, დროის ზუსტი დამთხვევა შეუძლებელია, ენებს შორის განსხვავება წუთი-წუთნახევარია. მაქსიმალური დროა 13 წუთი და პილოტირების მერე ვნახავთ, ეს დრო საკმარისია თუ არა. დიალოგებს შორის გვაქვს გარკვეული ინტერვალი, რომელიც აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, ჩანიშნოს სწორი პასუხი და ყურადღება შემდეგ ტექსტზე გადაიტანოს. აქ მოსმენის ასეთი სტრატეგიაა – მან ეს ტექსტი არა მარტო უნდა მოისმინოს, არამედ წინასწარ გადახედოს შემდეგ მონაცემს (ამას ალბათ 10 წამიც კი არ სჭირდება), ანუ ტექსტზეც უნდა გადაიტანოს ყურადღება. პილოტირება, რომელიც დეკემბერში იგეგმება, გვიჩვენებს, რამდენად საკმარისია მოცემული დრო. იმედი მაქვს, რომ საკმარისი იქნება, რადგან ჩვენ ეს ინტერვალები თავიდანვე გვქონდა ჩადებული – როდესაც აბიტურიენტი ისმენს დიალოგებსა და ტექსტებს, იქ აუცილებლად უნდა იყოს ინტერვალები. თუ რაიმე პრობლემა შეექმნებათ და დრო არ ეყოფათ, ჩვენ კიდევ 3-4 წამით გავზრდით (სწორედ წამით და არა წუთით, რადგან მოსმენის დროს, წუთი ძალიან ბევრია). თითოეული ჩანაწერი ნახევარწუთიანია, ინტერვალები 5-წამიანია, რაც მოსმენის დავალებისთვის საკმარისია, რომ შემდეგ დავალებაზე გადახვიდე. დიდი ინტერვალი ყოველთვის ფანტავს ადამიანის ყურადღებას და მიზანშეწონილი არ არის მსგავსი დავალებების შესრულების დროს.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, როგორ იგეგმება მოსმენის ნაწილი. აბიტურიენტი ისმენს ჩანაწერს (მოსმენის დავალებაში 10 დამოუკიდებელი პატარა ტექსტია), თითოეულ ტექსტს და, 4 შესაძლო პასუხიდან, ირჩევს ერთ-ერთს, რომელიც მოსმენის ტექსტთანაა დაკავშირებული და პასუხების ფურცელზე სწორ პასუხს ჯვარედინად გადახაზავს ან შავად მონიშნავს, როგორც მისთვის უფრო მოსახერხებელია. შემდეგ მას გარკვეული ინტერვალი აქვს, რომ გადავიდეს შემდეგზე, გადაავლოს თვალი და ჩანაწერიც ამას მიჰყვება, აბიტურიენტი არ არეგულირებს ჩანაწერს, ჩვენ ვარეგულირებთ. ჩანაწერი თავად არის ინტერვალებიანი და ტექნიკურად მოწესრიგებული. ისევე როგორც შარშან და შარშანწინ, ჩვენი მეთვალყურე ჩართავს ჩანაწერს და აბიტურიენტები შეასრულებენ დავალებებს. არ არის გამორიცხული, რომ პილოტირების შემთხვევაში, აბიტურიენტს თვითონვე მოუწიოს ჩანაწერის ჩართვა, მაგრამ მისი დარეგულირება მას არ მოუწევს, ის მხოლოდ ჩართავს (ან მეთვალყურე). ჩანაწერში ყველაფერი ტექნიკურად უკვე დალაგებულია და ამაზე მათ შეუძლიათ არც იფიქრონ. ვურჩევ ყურადღება გაამახვილონ სწორი პასუხის რაც შეიძლება სწრაფად მონიშვნაზე. მოსმენის დროს არ არის საჭირო დიდხანს ფიქრი, ეს არ არის წაკითხულის გააზრება, ეს არის მოსმენა – გაიგებ ინფორმაციას, ჩანიშნავ. რაც მეტი დრო გადის, მიღებული ინფორმაცია გავიწყდება, ანუ სწრაფად უნდა მონიშნო, რაც სწორ პასუხად მიგაჩნია. ეს არ არის ისეთი დიდი ტექსტი, რომ დიდხანს ეძებო შიგ ინფორმაცია, ნახევარწუთიანი ტექსტებია. ამიტომ აბიტურიენტი მოსმენისას ასრულებს დავალებას, ტექსტი ორჯერ მეორდება და მას შეუძლია, მეორე მოსმენისას, პასუხი გადაამოწმოს და მაშინვე, მომენტალურად მოხაზოს. მიმაჩნია, რომ სწორედ ამაშია საჭირო გავარჯიშება, რომ დროულად აღნიშნოს პასუხი ფურცელზე, რადგან ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატია და შემდეგ ისევ ეკრანზე უნდა გადაიტანოს ყურადღება და მოსმენაზე. ამაზე ვარჯიშიც იქნება აუცილებელი.

რაც შეეხება ტექსტების სირთულეს, ორი წლის წინ მოსმენის ნაწილის ტექსტები ძალიან მარტივი იყო. აბიტურიენტებმა, თითქოს და, დაგვცინეს კიდეც – ძალიან მარტივი ტექსტებიაო?! მართლაც მარტივი იყო, რადგან დაწყებით ეტაპზე მოსმენის დავალების შემოტანა, თავისთავად, გარკვეული სირთულე იყო. წელს ტექსტები გართულდება და ადეკვატური სირთულის იქნება – მარტივი B1, რაც ზუსტად შეესაბამება ეროვნული გეგმის მოთხოვნებს. B1 საშუალო დონეა, საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებით. უფრო სწორად B1-, ანუ მარტივი B1. 10 დავალებაში შეიძლება იყოს 2-3 მარტივი, 2-3 საშუალო სირთულის, მაგრამ საერთო ჯამში, წინა წლებთან შედარებით, სირთულე მეტი იქნება.

რაც შეეხება მეორე სიახლეს, რომელიც აბიტურიენტებს მოსმენის ნაწილთან ერთად შევთავაზეთ – წერილის დაწერას და როგორ ხდება მისი მორგება ელექტრონულ ფორმატზე. ბეჭდურ ფორმატში როგორც წერილში, ასევე თემაში, გვქონდა გამოყოფილი ადგილი, სადაც აბიტურიენტს საშუალება ჰქონდა, შავად დაეწერა, შემდეგ დაემუშავებინა და გადაეტანა პასუხების ფურცელზე. მოგეხსენებათ, ნაბეჭდი ტესტი მას აღარ აქვს, მაგრამ არც იმის საშუალება აქვს, რომ ეკრანზე დაწეროს (ეს ძალიან ადრეა ჩვენთვის), ამიტომ ექნება სავარჯიშო, ე.წ. შავი ფურცელი, სადაც, მას შემდეგ რაც წაიკითხავს დავალებას ეკრანზე – წერილს ან თემას, ამ დავალებას, რამდენი ხანიც უნდა, ეკრანზე გააჩერებს და დაწერს პასუხს ან პირდაპირ პასუხების ფურცელში (თუ ძალიან თვითდაჯერებულია და იცის ზუსტად, რომ სწორად წერს), ან შავად და მერე გადაათვლის იმისდა მიხედვით, რა დროც აქვს.

წერილში სიტყვების რაოდენობა მითითებული არ არის, მაგრამ განსაზღვრულია ის სივრცე, რომელშიც უნდა ჩაეტიოს. ეს ისეთი დავალებაა, რომ აბიტურიენტი ვერ განავრცობს. თემა შეიძლება განავრცოს, მაგრამ წერილის შემთხვევაში არის ზუსტი მითითება, რომ კითხვები დასვას. აბიტურიენტს, მოცემულ დავალებაში, ვეუბნებით – ჩაეტიე მოცემულ ადგილზე, რაც პასუხების ფურცელშია. ასე რომ, ამ შემთხვევაში პრობლემა ჯერ არასოდეს შექმნილა.

მესამე წელია, აბიტურიენტებს ვაფრთხილებთ, ნაშრომზე არ მიუთითონ სახელი და გვარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველწლიურად მაინც არის ოცამდე აბიტურიენტი (ოთხივე ენაში), ვინც უთითებს თავის ან სხვის სახელსა და გვარს და მერე მიდის დავა. მაგალითად, აბიტურიენტი თავს იმით იმართლებს, რომ მე ჩემი სახელი და გვარი არ მიმითითებიაო, მაგრამ გამსწორებელმა ხომ არ იცის, ვისი სახელი და გვარი წერია. სრულიად აბსურდული და არაქართული სახელი და გვარიც რომ იყოს (თუნდაც მარკო პოლო ან გალილეო გალილეი), ჩვენ მაინც არ ვასწორებთ ასეთ ნაშრომებს, რადგან ნებისმიერი მითითება ითვლება, როგორც პაროლი და საკამათო ხდება. ამიტომაც ჩვენ 3 ადგილას ვწერთ გარკვევით – გთხოვთ, არ მიუთითოთ სახელი და გვარი. გარდა ამისა, დამსწრე აცხადებს, რომ არ მიუთითონ სახელი და გვარი და კიდევ ვიფიქრებთ სხვა რაიმე დამცავ მექანიზმზე, რომ გაფრთხილდნენ ის აბიტურიენტები, ვინც არ გვიჯერებს. 2015 წელსაც 17-18 მსგავსი შემთხვევა იყო და ეს დავალებები გავანულეთ, ანუ კონკრეტულად ეს დავალება შეფასდა ნულით. სამწუხაროდ, აბიტურიენტს, მისი დაუდევრობის გამო, რაღაც ქულა აკლდება. ჩვენ ძალიან ვწუხვართ, როცა იძულებული ვართ, აბიტურიენტს დავალებაში ნული დავუწეროთ.

რაც შეეხება ე.წ. ღია სახის დავალებებს, რომელიც მოითხოვს აბიტურიენტისგან დაწერას და არა უბრალოდ სწორი პასუხის აღნიშვნას. მრავალჯერადი არჩევანი არის დახურული სახის კითხვის შემთხვევაში, სადაც აბიტურიენტი უბრალოდ აღნიშნავს სწორ პასუხს, უფრო სწორად მოხაზავს, პასუხების ფურცელზე ჯვარს დასვამს. ღია სახის დავალებებში აბიტურიენტი წერს ან სიტყვას, ან წინადადებას, ან თემას. თემის შემთხვევაში, სიტყვების რაოდენობა, დაახლოებით, 150 იყო და ეს ძალაში რჩება. როგორც შარშან და შარშანწინ, აბიტურიენტს შეუძლია შავად დაწეროს ამ მოცულობის ტექსტი, თემა და მერე პასუხების ფურცელში გადაიტანოს. ამ შემთხვევაში არაფერი შეცვლილა.

ჩემი რეკომენდაციაც იგივეა, რაც გასულ წლებში – შეასრულონ ჩვენი მოთხოვნა – გთხოვთ, დაწეროთ 120-150 სიტყვა. თუ ვინმეს ჰგონია, რაც მეტს დაწერს, უკეთ შეფასდება მისი ნაწერი, ასე არ არის. ჯერ ერთი, დიდი ნაწერი ბევრ შეცდომას ნიშნავს, ბუნებრივია, ჩვენ ვითვლით შეცდომებს. გარდა ამისა, ეს ძალიან მარტივ რაღაცას ნიშნავს ტესტირებაში – თქვენ არ ასრულებთ კარგად დავალების პირობას და დავალების პირობის შესრულება, ჩვენი მხრიდან, უპირველესი მოთხოვნაა. თუ წერია, დაწერეთ 120-150 სიტყვა, შეიძლება 10-20 სიტყვით გადააჭარბოთ, მაგრამ მეტს არ გირჩევთ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეროვნულ გამოცდებზე, ჩვენთანაც და ნებისმიერ საგანში, ორი სახის დავალებებია – დახურული და ღია. დახურული სახისაა დავალება, როდესაც აბიტურიენტი მონიშნავს სწორ პასუხს პასუხების ფურცელზე, ის არაფერს არ წერს. ღია სახისაა დავალება, როდესაც აბიტურიენტი წერს რაიმეს – ან სიტყვას, ან წინადადებას, ან თემას. ჩვენი დავალებები პროპორციულადაა განაწილებული, თითქმის 50-60%-ია დახურული, დანარჩენი – ღია. ასეთი კომბინაციაა ჩვენთანაც და ყველა საგანში, ე.წ. კატისგან (სკოლის დამამთავრებელი გამოცდა) განსხვავებით, სადაც მხოლოდ და მხოლოდ დახურულბოლოიანი კითხვებია, ანუ მოსწავლეები არაფერს არ წერენ. რადგან კატის გამოცდებს შევეხეთ, ვიტყვი, რომ წელს არანაირი ცვლილება არ იგეგმება, ისევ იქნება გრამატიკაზე, ლექსიკაზე და წაკითხულის გააზრებაზე ორიენტირებული დავალებები, სადაც იქნება შემოსახაზი, აღსანიშნი სწორი პასუხი.

რაც შეეხება გასწორების პროცესს, ფაქტობრივად, გამსწორებლისთვის არაფერი იცვლება. მას თუ ადრე მისდიოდა პასუხების ფურცელი, ანუ აბიტურიენტის პასუხები, ზუსტად იმავე ფორმატში მიუვა წელსაც. აბიტურიენტები, წელსაც, სწორ პასუხებს აღნიშნავენ და ჩაწერენ პასუხების ფურცელში, როგორც შარშან, შარშანწინ და ბოლო 10 წელზე მეტია. პასუხების ფურცლები სკანირდება, დავალებები იჭრება და დაჭრილი მისდის გამსწორებელს. ასე იქნება წელსაც, ანუ სანამ არსებობს პასუხების ფურცელი და სანამ არ გადავალთ მთლიან ელექტრონულ ფორმატზე, გამსწორებლისთვის არაფერი შეიცვლება.

წელს პირველად, მასწავლებლები ორჯერ აბარებენ გამოცდას, გარკვეულმა რაოდენობამ ზაფხულში ჩააბარა, იანვარში კიდევ იქნება გამოცდა. უცხო ენაში დარეგისტრირებულია, დაახლოებით, 750 მასწავლებელი, ოთხივე ენაში. რა თქმა უნდა, ეს ნაკლებია იმ რაოდენობაზე, რაც ზაფხულში იყო, თუმცა

ეროვნული გამოცდები 2016

არა დრამატულად. ზაფხულში, დაახლოებით, 1200 იყო. უმეტესობა – 80% ინგლისური ენის პედაგოგები არიან, ფრანგულის მასწავლებელი მხოლოდ 6 თუ 7-ია. ყველა შემთხვევაში, ჩვენ ამ გამოცდისთვის ვემზადებით. იანვარში იქნება ჩვეულებრივი, ქაღალდზე აგებული ტესტი, როგორიც იყო ადრე. თუმცა, გარკვეული პილოტირების და აპრობაციის პერიოდის გავლის შემდეგ, ზაფხულში, როგორც ჩანს, პედაგოგთა გამოცდებიც გადავა ელექტრონულ ვერსიაზე.

შინაარსობრივ ნაწილში არანაირი ცვლილება არ იგეგმება. ეს არის კომბინირებული ტესტი, რომელიც ენობრივ კომპეტენციას და მეთოდიკის ცოდნას მოიცავს – ცალცალკე ვაფასებთ მოსმენას, წერას, ლაპარაკს, წაკითხულის გააზრებას, ცალკეა დამატებული მეთოდიკის ნაწილი. ამ ფორმატმა ძალიან გაამართლა და ამიტომ არანაირ ცვლილებას, ამ ეტაპზე, არ ვგეგმავთ. ცვლილება იქნება მათთვის, ვინც ზაფხულში ჩააბარებს. როგორც ჩანს, მათ მეტი უნდა ივარჯიშონ ელექტრონულ ვერსიაზე. თვალყური ადევნონ ჩვენს ვებსაიტზე გამოქვეყნებულ ყველანაირ პილოტირების პროექტს, იქვე დაიდება ელექტრონული ვერსიების ნიმუშები და მათზე უნდა ივარჯიშონ. ერთი და იგივე ტესტი შეიძლება ბევრჯერ გააკეთო, ოღონდ არა იმიტომ, რომ მაინც და მაინც სწორი პასუხები ითვალო, არამედ იმისთვის, რომ შეეჩვიო ელექტრონულ ვერსიას. როგორც ვთქვი, ეს არის გარკვეული ტექნიკა – უნდა წაიკითხო ეკრანზე დავალება, მერე გადაიტანო ყურადღება ქვევით – ფურცელზე და ისევ მიუბრუნდე ეკრანს, წაიკითხო შემდეგი დავალება, ეკრანი ამოძრავო მარცხნივ და მარჯვნივ, რაც არ არის თავისთავად რთული, მაგრამ ამას ყველაფერს ვარჯიში უნდა.

ამიტომაც ვურჩევ როგორც აბიტურიენტებს, ასევე პედაგოგებს, როცა ჩვენს საიტზე ეს ნიმუშები გამოქვეყნდება, რაც შეიძლება მეტი ივარჯიშონ. დაუძლეველი სირთულე ამაში არაფერია, პირიქით, ძალიან სახალისოა. ჩვენ გვქონდა საშუალება, ჩაგვერთო ფერები, ვიზუალურად ძალიან ლამაზია, თვალი არ იღლება, დიდი ასოებია. უბრალოდ საჭიროა ვარჯიში.

მომზადდა რადიო იმედის გადაცემის – „გამოცდებიდან გამოცდებამდე“ თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად, მიხედვით

მოამზადა
ლალი თვალაბეიშვილმა

ინტერვიუ რექტორთან

პრიორიტეტი – სწავლის ხარისხი და უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა

რუბრიკის სტუმარია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი მამუკა თავხელიძე

– ბატონო მამუკა, რადგან უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ძირითადად, განსაზღვრავს სტუდენტების რაოდენობა, უმაღლესი სასწავლებელი დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი სტუდენტი მიიღოს. ხომ არ ხდება ეს ხარისხის ხარჯზე?

– რა თქმა უნდა, არა. ვფიქრობ, უნივერსიტეტს, რომელიც არ ზრუნავს ხარისხისთვის, მომავალი არ აქვს. ჩვენ სწავლის საფასურიც კი შევამცირეთ, რომ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაგვეხადა სწავლა ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდებისთვის. უფრო მეტი, მათთვის სხვადასხვა ბონუსიც კი დავაწესეთ. მაგალითად, აბიტურიენტებს, რომელთა სკალირებული (ანუ საბოლოო) ქულა, ეროვნულ გამოცდებზე, 2000-ს აღემატება, სწავლის საფასური მინიმალური ოდენობით – 2250 ლარით განესაზღვრებათ, ხოლო მათ შორის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პირველი ათეული, მთლიანად განთავისუფლდება სწავლის საფასურისგან (ოთხი წლის მანძილზე). გარდა ამისა, თუ ჩვენს უნივერსიტეტში ორი ან ორზე მეტი წარმომადგენელი ისწავლის ერთი ოჯახიდან, თითოეულს სწავლის საფასური 10-10 პროცენტით შეუმცირდება.

კიდევ ერთი – აბიტურიენტებს, რომლებიც პირველ პრიორიტეტად ჩვენს უნივერსიტეტს აირჩევენ, სწავლის საფასური 15 პროცენტით შეუმცირდებათ. რატომ ვანიჭებთ ამ უკანასკნელს დიდ მნიშვნელობას? საქმე ისაა, რომ მაღალი აკადემიური შედეგის მისაღწევად, არსებითია სტუდენტის მოტივაციის დონე და ნდობის ხარისხი უნივერსიტეტის მიმართ. აბიტურიენტი, რომელიც პირველ პრიორიტეტს მიანიჭებს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს, იგულისხმება, რომ იცნობს უნივერსიტეტს, გაცნობიერებული აქვს აქ სწავლის უპირატესობა და მოტივირებულია თანამედროვე განათლების მისაღებად. ამ სტუდენტებთან კი ბევრად ადვილია საბოლოო შედეგის მიღწევა, ამიტომაც ჩაითვალა საჭიროდ ასეთი შეღავათის დაწესება.

აღნიშნულის გარდა, ჩვენთან, სწავლის პერიოდშიც გათვალისწინებულია ფინანსური შეღავათები. მაგალითად, ყველაზე მაღალი რეიტინგის სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისგან, შესაბამისად, 100, 50 და 30 პროცენტით. ასე რომ, ჩვენთან არა თუ არ ეწირება სწავლის ხარისხი ბიუჯეტის ფორმირებას, პირიქით, ბიუჯეტი იღებს თავის თავზე „დარტყმას“ მაღალი აკადემიური შედეგის მისაღწევად.

– მოგწონთ თუ არა დაფინანსების არსებული სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მოთხოვნებს განსაზღვრული ფინანსები. არსებობს თუ არა დაფინანსების სხვა გზა ან სხვა პრინციპი. თქვენთვის რომელი იქნებოდა სასურველი?

– ვფიქრობ, არსებული სისტემა, სტუდენტთან მიმართებით, სწორი და, რაც მთავარია, სამართლიანია. გინდა მიიღო საუნივერსიტეტო განათლება უფასოდ – ისწავლე, იყავი სხვაზე უკეთესი და მიიღებ დაფინანსებას. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვით უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემაზე. რატომღაც, ზოგიერთი სახელმწიფოებრივ აზროვნებად მიიჩნევს სახელმწიფო სექტორის სუბიექტების ლობირებას, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი შეხედულებაა. სახელმწიფო მაშინ არის ძლიერი, როცა ის ბაზრის ყველა სუბიექტს ჩააყენებს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სამსახურში, შესაბამისად, შეუქმნის მუშაობის თანაბარ პირობებს. აქედან გამომდინარე, დაფინანსების პრინციპი, ყველა სამართლებრივი სუბიექტისთვის, ერთნაირი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოიშლება კონკურენციის მექანიზმი და, საბოლოოდ, საერთო საგანმანათლებლო დონე დაეცემა. რაც შეეხება დაფინანსების ალტერნატიულ ფორმებს, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ერთი კი შეიძლება ითქვას – ამას სჭირდება საგანგებო სამუშაო ჯგუფის შექმნა და საკანონმდებლო ცვლილებები.

– აბიტურიენტების გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც მინიმალური ზღვარი გადალახეს, წელს უარი ეთქვა უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე. მისაღებია თუ არა თქვენთვის ეს გადაწყვეტილება და ზოგადად, რა აზრის ხართ მეორად ჩარიცხვებზე? გასულ წლებში გყავდათ თუ არა მეორადი ჩარიცხვის სტუდენტები და რამდენად კომფორტული იყო მათი ჩართვა სასწავლო პროცესში?

– ზოგადად, ასეთი გამონაკლისების მომხრე არ ვარ. თუ დავუშვებთ მეორად ჩარიცხვებს, მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად. გასულ წელს, მეორადი ჩაირიცხვის წესით, აბიტურიენტთა მცირე ჯგუფი მივიღეთ. უნივერსიტეტისთვის ნამდვილად არ იყო კომფორტული, მაგრამ, კონკრეტულად ამ სტუდენტებისთვის, ნამდვილად ღირდა ასეთი გამონაკლისის დაშვება...

– გაქვთ თუ არა ურთიერთობა საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან, რომელ უნივერსიტეტებთან გაქვთ გაცვლითი და ერთობლივი, სტუდენტური, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამები?

– ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი ხიბლი სწორედ უცხოეთის უნივერსიტეტებთან მჭიდრო და საქმიანი თანამშრომლობაა. მთავარი ამ თანამშრომლობაში ისაა, რომ სტუდენტების სწავლას უცხოეთში ჩვენი უნივერსიტეტი ან პარტნიორი მხარე აფინანსებს, ხშირად იქ ცხოვრების ხარჯებსაც ვაფინანსებთ. საერთაშორისო ურთიერთობებში გამოვყოფდი ერასმუს მუნდუსის პროგრამას, სადაც ყველა ხარჯს ევროკავშირი ფარავს. ამ პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებიც არიან ჩართული. ისინი ევროპის უნივერსიტეტებში ეწევიან კვლევით საქმიანობას, კითხულობენ ლექციებს, ამყარებენ საქმიან კონტაქტებს უცხოელ მეცნიერებთან და ახალი გამოცდილებით შეიარაღებულნი უბრუნდებიან უნივერსიტეტს.

ორიგინალურია ბიზნესის ადმინისტრირების ქართულ-ბრიტანულ-უნგრული პროგრამა, რომელიც გულისხმობს 3 წლის მანძილზე ჩვენს უნივერსიტეტში სწავლას, ხოლო მე-4 წელს უნგრეთში სწავლის დასრულებას და ორი დიპლომის – გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და ოქსფორდის ბრუქსის უნივერსიტეტის დიპლომისა და აკადემიური ხარისხის მიღებას. რითაა ეს პროგრამა მნიშვნელოვანი? სტუდენტი, დამატებითი ფინანსური დანახარჯის გარეშე, ღებულობს ევროპულ განათლებას, ბრიტანულ აკადემიურ ხარისხს და მწვანე შუქს დასაქმების ბაზარზე. ამავე ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მოქმედებს გაცვლითი პროგრამები გერმანიის, ინგლისის, პოლონეთის, უნგრეთისა და ბალტიისპირა ქვეყნების პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

მნიშვნელოვანია, რომ უცხოეთში ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამებიც გვაქვს. ამ პროგრამებით არა ერთმა სტუდენტმა გაიარა უკვე სტაჟირება გერმანიის, ინგლისის და სხვა ევროპული ქვეყნების კომპანიებსა და ბანკებში.

ერთობლივი პროგრამები გვაქვს სამაგისტრო დონეზეც. უნიკალურია, ამ თვალსაზრისით, ქართულ-ფრანგული პროგრამა „გლობალური მმართველობა და საერთაშორისო ურთიერთობები“, რომელსაც საფრანგეთის ადმინისტრირების ეროვნულ სკოლასა და სორბონის უნივერსიტეტთან ერთად ვახორციელებთ. ამ შემთხვევაში სტუდენტი ერთი წელი სწავლობს ჩვენთან, ხოლო მეორე წელს სწავლას აგრძელებს საფრანგეთში და, ჩვენი უნივერსიტეტის დიპლომთან ერთად, იღებს ეროვნული სკოლისა და სორბონის უნივერსიტეტის აკადემიურ ხარისხსა და დიპლომს. ანალოგიური პროგრამა გვაქვს პოტსდამის უნივერსიტეტთან. აღსანიშნავია, რომ ორივე უნივერსიტეტში სწავლა ინგლისურ ენაზეა.

ალბათ, არ არის საჭირო დამატებითი კომენტარი იმისათვის, რომ შევაფასოთ ამ პროგრამების მნიშვნელობა. პირველ რიგში, ეს არის ნდობა ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ, ხოლო სტუდენტისთვის – წარმატებული კარიერისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია, რომლის შედეგებსაც დროთა განმავლობაში უფრო მეტად გააცნობიერებს – გაიაზრებს, რას ნიშნავს იყო საფრანგეთის ადმინისტრირების ეროვნული სკოლისა და სორბონის უნივერსიტეტის დიპლომების და აკადემიური ხარისხის მფლობელი. მთავარი ის არის, რომ ამ პროგრამის ფარგლებში, სწავლის გადასახადი, ჩვენი სტუდენტებისთვის საგრძნობლად შეამცირა ფრანგულმა მხარემ.

– დღეისათვის ახალგაზრდების დასაქმება ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ხომ არ აქვს უნივერსიტეტს რაიმე პროგრამა ამ მიმართულებით საკუთარი კურსდამთავრებულებისათვის?

– ცხადია, ამ მიმართულებით უნივერსიტეტი სერიოზულ ღონისძიებებს ატარებს – ეწყობა დასაქმების ფორუმები, შეხვედრები დამსაქმებლებთან, ტრენინგები კარიერული წინსვლისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავებისთვის. ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში, იუნესკოს განათლების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ჩვენი უნივერსიტეტი პირველ ხუთეულში აღმოჩნდა დასაქმების მაჩვენებლით. ეს პოზიცია დღემდე გვიკავია და დარწმუნებული ვარ, ასევე გაგრძელდება.

– ხშირად სტუდენტები გამოთქვამენ პრეტენზიას საჭირო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე არარსებობის გამო, არის თუ არა თქვენთან ეს პრობლემა და თუ ასეა, როგორ აგვარებთ?

– ამ მხრივ, ვფიქრობ, ყველაფერი მოგვარებული გვაქვს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამით გათვალისწინებული თემებისათვის ყველა სახელმძღვანელო გვაქვს. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია პროფესორების მიერ შედგენილი ე.წ. „ჰენდ აუთები“, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში იყენებენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სტუდენტმა უნდა შეძლოს უცხოურ ლიტერატურაზე მუშაობა, ყოველ შემთხვევაში, უნდა შეეცადოს, ეს უნარი ჩამოუყალიბდეს.

– რას გვეტყვით სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, აფინანსებს თუ არა უნივერსიტეტი მის საქმიანობას?

– სტუდენტური თვითმმართველობა ჩვენთან ძალზე ეფექტურად მუშაობს. მუშაობს ისე, როგორადაც უნდა მუშაობდეს ეს ორგანიზაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი თვითმმართველობა ორიენტირებულია სტუდენტთა ინტერესების განხორციელებისა და, ზოგადად, მათი თვითრეალიზებისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად. უნივერსიტეტი, ცხადია, გამოყოფს ფინანსებს, მაგრამ არა საკუთრივ ორგანიზაციისთვის, არამედ მის მიერ წარმოდგენილი პროექტების განსახორციელებლად, რაც, ვფიქრობ, სწორი მიდგომაა.

– გვიამბეთ საუნივერსიტეტო ფონდის საქმიანობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში (წარმატებული სტუდენტების წახალისება, სოციალურად დაუცველთა დაფინანსება და ა.შ.).

– ამ მიმართულებით, ალბათ, ერთ-ერთი ლიდერი ვართ. გარდა იმისა, რაც დასაწყისში აღვნიშნეთ, სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალური გრაფიკით გადაიხადონ სწავლის საფასური, ჩაერთონ სოციალურ პროგრამებში, რომელიც სხვადასხვა შეღავათებს ითვალისწინებს. ამავე დროს, უნივერსიტეტი ხშირად ასაქმებს სტუდენტებს, რისთვისაც, ცხადია, შესაბამისი ანაზღაურება მიეცემათ ხოლმე. წახალისებაა, როდესაც სტუდენტი, რეიტინგის მიხედვით, თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან (100, 50 და 30 პროცენტით), როდესაც უნივერსიტეტი სტუდენტის საერთაშორისო მობილობას აფინანსებს, როდესაც ცალკეული პროექტისთვის გამოყოფს გრანტს, როდესაც წარმატებული დოქტორანტები უნივერსიტეტისგან იღებენ კვლევით სტიპენდიას და ა.შ.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

პროფესია პედაგოგი

26 წლის პედაგოგი 5-წლიანი გამოცდილებით

გიორგი ავთანდილაშვილი
თბილისის მე-4 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი

ისტორიკოსობით დაწყებული ეთნოლოგობა

ჩემი ძირითადი პროფესია ეთნოლოგიაა, დამხმარე პროფესია – არქეოლოგია, ბაკალავრიატი და მაგისტრატურა ეთნოლოგიის სპეციალობით დავამთავრე, დოქტორანტურაში კი ანთროპოლოგიის მიმართულებით გავაგრძელე სწავლა. თავიდან, როცა უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩავირიცხე, განზრახული მქონდა ისტორიკოსი გავმხდარიყავი, მაგრამ შემდეგ ჩავთვალე, რომ ეთნოლოგობა უფრო ცოცხალი პროფესიაა. პროფესიის შეცვლაზე სხვა გარემოებებმაც იქონია გავლენა. პირველ რიგში, ამ დარგის მიმართ ინტერესი გამიჩინა ბატონი როლანდ თოფჩიშვილის ლექციებმა საქართველოს ეთნოლოგიაში. მის ლექციებზე რაღაც განსხვავებული აურა ტრიალებდა. მახსოვს, განსაკუთრებული ინტერესი ქორწინების ტრადიციებზე წაკითხულ ლექციას მოჰყვა – ბატონი როლანდი მთაში ქორწინების ტრადიციებს გვაცნობდა და გვიამბო, რომ მთაში ვაჟი ცოლს რომ შეირთავდა, დედის ძმის ოჯახში მიდიოდა, პირველად მას უნდა დაელოცა მეფე-პატარძალი. დიდხანს ვმსჯელობდით, ასე რატომ ხდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ეს ნათესაური კავშირის გასამყარებლად იყო საჭირო. ჩამითრია ლექციებმა ეთნოლოგიაზე და პირველი წელი დიდი კულტურული შოკი მივიღე, აღმოჩენების წელი მქონდა – მახსოვს, სემესტრის ბოლოს, 30 თუ 40 წიგნი მქონდა ეთნოლოგიაზე წაკითხული. გადავწყვიტე, რომ ეთნოლოგია ჩემი საქმეა. ჩემი უნივერსიტეტში სწავლა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა, დიდი პაუზის შემდეგ, ეთნოლოგიის სპეციალობა აღადგინეს როლანდ თოფჩიშვილმა და ქეთევან ხუციშვილმა. ჩვენ პირველი თაობა ვიყავით, ვინც 2006 წელს განახლებულ სპეციალობაზე მიგვიღეს.

ამ გადაწყვეტილებაზე უდიდესი გავლენა იქონია, ასევე, იმ ექსპედიციამ, რომელშიც ბატონმა როლანდმა წაგვიყვანა. ჩემთვის პირველი ექსპედიცია იყო მთიან აჭარაში, ხულოს რაიონში – ხიხაძირის ხეობაში. ლუკა გაბაიძის ოჯახში ვცხოვრობდით, 10 დღის განმავლობაში დავდიოდით ეთნოგრაფიულ ველზე, ვსწავლობდით როგორ ჩაგვწერა ინტერვიუ, როგორ შეგვეგროვებინა მასალა, როგორ გაგვაანალიზებინა ინფორმაცია – ეს იყო ის, რამაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი ჩემს პროფესიულ არჩევანს.

ჩემს პროფესიაში დოქტორანტები და მაგისტრანტები ცოტანი ვართ. მაგისტრატურაში ახლა სულ 2 სტუდენტი სწავლობს. ცუდია, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სპეციალობებს შორის ეთნოლოგია ვერ მოხვდა. როგორც განმარტეს, სახელმწიფომ დარგი რომ დააფინანსოს, მას სამივე საფეხური უნდა ჰქონდეს. ეთნოლოგიის შემთხვევაში კი, ბაკალავრიატი და მაგისტრატურა ეთნოლოგიაა, დოქტორანტურაში კი – ანთროპოლოგია. არადა, დაფინანსება ეთნოლოგიის სპეციალისტების რაოდენობას საგრძნობლად გაზრდიდა.

წარმოშობით ფშაველი ვარ, მაგრამ ფშავთან კავშირი აღარ გვაქვს. ჩვენი წინაპრები გომბორში დასახლებულნი, პაპაჩემი გომბორიდან საგარეჯოში, ხოლო მამაჩემი თბილისში ჩამოვიდა. მოკლედ, ყოველ თაობაში ჩვენი საცხოვრებელი იცვლებოდა, მე სად წავალ არ ვიცი. დედა სამცხედანაა, ამდენად ჩემში ბევრი ტრადიციაა თავმოყრილი.

21 წლიდან მასწავლებლის ამპლუაში

2010 წელს მაგისტრატურაში ვსწავლობდი, როცა სკოლაში მასწავლებლად მუშაობა შემომთავაზეს. მე-4 სკოლაში ისტორიის რამდენიმე საათზე გაჩნდა ვაკანსია. ვიფიქრე, ეს კარგი გამოცდილება იქნებოდა ჩემთვის, თან ბავშვები ძალიან მიყვარს. არსებობდა მესამე მიზეზიც – ის, რაც არ მომწონდა სკოლაში და რაც სულ მაწუხებდა, მინდოდა შემეცვალა.

თავიდან 9 საათზე დავიწყე მუშაობა, შემდეგ სკოლიდან ასაკოვანი მასწავლებელი წავიდა და მისი საათებიც მე გადმომცეს, სულ 18 საათი დამიგროვდა. შემდეგ სამოქალაქო განათლების საათებიც ავიღე და ნელ-ნელა, სერიოზულად ჩავჯექი სკოლის ცხოვრებაში და მასწავლებლის ამპლუაში. პარალელურად, დოქტორანტურაში ვსწავლობ და მეორე წელია, უნივერსიტეტში ანთროპოლოგიაში სემინარებს ვიბარებ, ანუ პროფესორის დამხმარე ვარ.

სკოლაში ჩემი მისვლა მართლა სრულიად შემთხვევით მოხდა. 21 წლის ასაკში სამსახურს არ ვეძებდი, რადგან სწავლით ვიყავი დაკავებული. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, საინტერესო მომეჩვენა, სკოლაში გამომეცადა თავი. გეზი უფრო უნივერსიტეტისკენ მქონდა აღებული და ვგეგმავდი, თუ შესაბამის ხარისხს მოვიპოვებდი, ლექციებს წავიკითხავდი, ამიტომ ვიფიქრე, სკოლაში პედაგოგიური გამოცდილება ბევრ რამეს მომცემდა. რაც მთავარია, ძალიან მინდოდა, მკაცრი და ზედმეტად დიდაქტიკური მასწავლებლის სტერეოტიპი დამენგრია. ის ურთიერთობები და დამოკიდებულებები შემეცვალა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, რაც სკოლაში არსებობდა. მთელი ბავშვობა მინდოდა, მყოლოდა მასწავლებელი, რომელთანაც თავისუფლად შევძლებდი ნებისმიერ თემაზე საუბარს, არ მომერიდებოდა კითხვის დასმა, მინდოდა მყოლოდა მასწავლებელი, რომელიც არ შემბოჭავდა და მხოლოდ ცოდნას არ ჩამიტენიდა თავში, რომლიდანაც მერე 5 პროცენტიც არ შემრჩებოდა, მინდოდა, ასეთი ურთიერთობით და ასეთი მეთოდით თვითონ მივსულიყავი სწორ პასუხებამდე და არა მასწავლებლის მკაცრი გამომეტყველებით ნაკარნახევი პასუხებით.

მოკლედ, სკოლაში ამ სურვილებით და გამოსაცდელი ვადით მივედი. მისვლისთანავე მითხრეს, X -XII კლასებში ჩაატარე გაკვეთილიო. ძალიან მოულოდნელი იყო. გაკვეთილის თემა კარგად ვიცოდი და არ გამიჭირდა, მაგრამ მოსწავლეებისგან ცოტა ნიჰილისტური დამოკიდებულება ვიგრძენი. გოგონები უფრო მისმენდნენ, ბიჭები – არა. შევეცადე, ბიჭები ვაჟკაცობასთან დაკავშირებული თემებით დამეინტერესებინა და მათ ქართულ საბრძოლო ხელოვნებასა და ქართული ჯარის შეიარაღებაზე დავუწყე საუბარი. კითხვა დავუსვი, როგორ ფიქრობთ, ბრძოლის დროს ერთი ქართველი რატომ ერეოდა 2-ჯერ და 5-ჯერ მეტს, თქვენ ამის გჯერათ? ხრიკმა გაჭრა, ბავშვები გაკვეთილში ჩაერთნენ და მსჯელობა ავაგეთ, მოჰყავდათ მაგალითები და თავიანთი ვერსიები. ბევრი რამ საქართველოს ბუნებრივ გეოგრაფიულ გარემოს დავაბრალეთ, მოკლედ, მე-10 კლასში გაკვეთილი კარგად ჩატარდა, შემდეგ მე-12 კლასშიც გამოვნახე მათთვის საინტერესო თემა. მოხდა ისე, რომ გაკვეთილების დასრულების შემდეგ, ორივე კლასიდან დირექტორთან თხოვნით შევიდნენ მოსწავლეები, მასწავლებლად დავეტოვებინე. ამან მართლა დიდი გავლენა იქონია ჩემზეც – მე შევძელი, აბსოლუტურად მოუმზადებლად, 45 წუთის განმავლობაში, მათში მოსმენის სურვილი გამეღვიძებინა. ასე დავიწყე მასწავლებლობა.

ვხედავ, რომ რაღაცას ვცვლი...

მაშინ რთული პერიოდი იყო, მასწავლებელს ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდა – კვირაში 5 დღე ვმუშაობდი და 180 ლარს ვიღებდი. პირველი ორი წელი სხვა ინტერესი მქონდა, გამოცდილებას ვიძენდი და ბევრ რამეს ვსწავლობდი, თან ოჯახიც მიჭერდა მხარს. მოკლედ, ვფიქრობდი, რომ სკოლა არ არის ის ადგილი, სადაც დავრჩები, მით უმეტეს, ოჯახს ვერ ვარჩენ, მაგრამ ისე შევედი ეშხში და იმდენად ჩავერთე ამ ყველაფერში, რომ მასწავლებლად დავრჩი.

იცით, ყველაზე მეტად რა მომწონს? ვხედავ, რომ რაღაცას ვცვლი და ვგრძნობ, რომ იმ დროს იქ ვარ საჭირო. 21 წლის ასაკში, როცა მუშაობა დავიწყე, ვფიქრობდი, შევცვლიდი დამოკიდებულებას მასწავლებელსა და მოსწავლეს, ანუ ჩემსა და ბავშვებს შორის – ეს მართლაც სწრაფად შევცვალე. მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი სწავლების მეთოდებზე და მათ შეცვლაზე, იმიტომ რომ, ეს მეც არ ვიცოდი. მოგვიანებით მივხვდი, რა ღრმა ყოფილა მასწავლებლის პროფესია.

დღეს ჩვენი ურთიერთობები უფრო თბილია. იცით როგორ მივედი აქამდე? ხშირად მათთან ერთად ფეხბურთსაც ვთამაშობდი, ცოტა მოგვიანებით, თოვლის პაპაც კი გავაკეთეთ – ვცდილობდი, უშუალო და გულწრფელი დამოკიდებულება გვქონოდა ერთმანეთთან. გაკვეთილზე შენიშვნას ხმამაღალი ტონით არასოდეს ვაძლევ, წითელი კალმითაც კი ვერიდები შენიშვნების ჩაწერას რვეულში – არ მინდა, ბავშვი ამით დავთრგუნო. ჩვენ შორის ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ურთიერთობა. თუმცა, თავიდან ძალიან გამიჭირდა, რადგან ზოგმა არასწორად გაიგო, ეტყობა კარგად ვერ ავუხსენი, როცა ბავშვი რაღაცას ვერ იგებს, რა თქმა უნდა, მასწავლებლის ბრალია. თავიდან გამიჭირდა ოქროს შუალედის პოვნა – ჩვენ შორის იმდენად მცირე ასაკობრივი სხვაობა იყო, ფიქრობდნენ, რომ შეიძლებოდა ჩემთან „ეძმაკაცათ“ გაკვეთილზეც და გარეთაც. გაკვეთილების შემდეგ მათთან მართლაც მეგობრული ურთიერთობა მქონდა, მაგრამ არა თანატოლი. ვფრთხილობდი, ჩვენ შორის ზღვარი არ წამეშალა.

კიდევ ერთი მიდგომა შევცვალე – სკოლაში თარიღებს, ფაქტებს გვაზეპირებინებდნენ. სულ ვფიქრობდი, რომ ეს საჭირო არ იყო. ჩემთვის მთავარია, ბავშვმა ლოგიკურად იაზროვნოს და არა უშავს, თუ თარიღი დაავიწყდება. ვცდილობ, ნაკლებად ჩავერიო საგაკვეთილო პროცესში (ადრე ამას ვერ ვბედავდი, ახლა მივხვდი, რომ სწორი გზით მივდივარ), რადგან მინდა, გაკვეთილზე მოსწავლეები უფრო აქტიურები იყვნენ. ხშირად ახალი მასალის ახსნაშიც აქტიურად არიან ჩაბმული. მასწავლებლის როლს ვხედავ, უფრო მეტად, როგორც დამკვირვებლის, რჩევისა და მიმართულების მიმცემის და არა გამძღოლის. რა თქმა უნდა, მასწავლებელი ლიდერი ხარ და სწორ გზას აჩვენებ, მაგრამ არა ისე, რომ აუცილებლად ყველამ შენს ნაფეხურებზე იაროს – შენ ბილიკი უნდა აჩვენო და მათ შეუძლიათ სხვადასხვა მიმართულებით იარონ ამ გზაზე. ამ პრიორიტეტებით მივედი სკოლაში და 5 წლის შემდეგაც იგივე პრიორიტეტები რჩება.

სახელმძღვანელოები

ზოგი სახელმძღვანელო მომწონს, ზოგი არა. ალბათ, უმეტესობა არ მომწონს, რადგან უფრო კრიტიკულად ვარ განწყობილი. მესმის იმ ადამიანების, ვინც სახელმძღვანელოებს წერს, უამრავი დეტალი აქვთ გასათვალისწინებელი. მაგრამ, ვფიქრობ, სახელმძღვანელოების უმეტესობა გადატვირთულია მასალით, ბევრი თარიღია ჩაყრილი. ისტორია მაინც ჰუმანიტარული მეცნიერებაა და თარიღებზე აპელირება და ფაქტობრივი მასალის გარშემო ტრიალი არ მიმაჩნია სწორად. რაც შეეხება სამოქალაქო განათლებას, იქ მეტი თავისუფლებაა და უფრო მეტია სააზროვნო დავალებები. დრო გავა და ბავშვს თარიღები, რიცხვები აუცილებლად დაავიწყდება, თუკი ისტორიკოსი არ გახდება. მაგრამ თუ სხვაგვარად მიუდგები და დაანახებ ნებისმიერ ისტორიულ ფაქტს, შეიძლება სულ სხვაგვარად წავიდეს მისი აზროვნებაც. ამიტომ, მე უფრო თავისუფალ გაკვეთილებს მივცემდი უპირატესობას.

მასწავლებლის პროფესიის ძირითადი მოტივაცია

ადამიანების მუშაობის ძირითადი მოტივაცია, ხშირ შემთხვევაში, ანაზღაურებაა, მაგრამ სკოლაში მუშაობისთვის ეს მოტივაცია არ გამოდგება. იმ ცოდნით, რაც მასწავლებლობის უფლებას გაძლევს, შეიძლება უფრო მაღალი ანაზღაურების სამსახური იპოვო. ამიტომ, თუკი ვინმეს მხოლოდ ხელფასის გამო მოუნდება მასწავლებლობა, იმედგაცრუებული დარჩება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. არ მინდა ვთქვა, რომ მასწავლებელი მოწოდებით უნდა იყო (ამით ახალგაზრდები არ დავაფრთხო). ეს რომ ჩემთვის 21 წლის ასაკში ეთქვათ, გამეცინებოდა, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ შემიძლია მასწავლებლობა და მეტიც, მომწონს რასაც ვაკეთებ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მასწავლებელი დაინახავს და იგრძნობს, ბავშვის სიყვარულია, რა თქმა უნდა, თუ სწორი მიმართულებით წავიდა და ცხვირი არ გაიბზუა, რომ მასწავლებელი ვარ და როგორ შეიძლება გამოცდა ჩამაბარებინოთო. ასეთი პედაგოგი ბავშვთანაც ასე ცხვირაწეული იქნება. არადა ბავშვი ყველაზე ზუსტად გრძნობს დამოკიდებულებას – თუ გიყვარს, ისიც აუცილებლად შეგიყვარებს. გარდა ამისა, მასწავლებლობა იმდენად ცოცხალი პროცესია, რომ აუცილებლად მოგნუსხავს. არც ერთი გაკვეთილი ერთმანეთს არ ჰგავს და ადამიანისთვის, რომელსაც ერთფეროვანი საქმე არ უყვარს, ეს პროფესია ზედგამოჭრილია – გამუდმებით დინამიური, ცოცხალი პროცესი მიმდინარეობს – ცვლილებები, ძიება, მატება, სწავლა. რაც მთავარია, საკუთარ თავში ვითარდები. ამას, სამწუხაროდ, ბევრი არ აღიარებს, მაგრამ მასწავლებლები სწავლების პროცესში ძალიან ბევრს სწავლობენ. ახლა უნივერსიტეტში გავდივარ ერთ-ერთ საგანს – „თანამედროვე სწავლების მეთოდები“. იქ გვიჩვენეს ასეთი მიდგომა: სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს სხვადასხვა შედეგი მოაქვს. მაგალითად, მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებულს – 5%, მოსმენაზე – 10% და ა.შ. ყველაზე მაღალი შედეგი, დაახლოებით 80%, აჩვენა სწავლებისთვის სწავლების მეთოდმა, ანუ სტუდენტებს უთხრეს ისწავლეთ იმიტომ, რომ შემდეგ თქვენ ასწავლოთო. მასწავლებლობაც ასეთივე პროცესია – გამუდმებული პროფესიული ზრდის პროცესი.

თქვენი რუბრიკის ახალგაზრდა მასწავლებლებმა, ყველამ სხვადასხვა მიზეზი იპოვა იმისთვის, რომ გამხდარიყო მასწავლებელი. ძალიან მომეწონა – მიზეზი არც უნდა იყოს მხოლოდ ხელფასი ან მხოლოდ თავისუფალი დრო, რომ სადღაც დასაქმდე – ასეთ შემთხვევაში, თავისთავად, არ იქნება ეფექტური მასწავლებლობა. რაღაც უნდა აღმოაჩინო, საკუთარ თავში იპოვო მიზეზი, რომ გახდე მასწავლებელი. ჩემ შემთხვევაში, ეს მიზეზი მაპოვნინა ჩემმა ლექტორმა, რომელმაც შეძლო და პროფესია შემაცვლევინა. სურვილი აღმიძრა, მეცადა მასწავლებლობა და შემეცვალა ის, რაც სკოლაში ყველაზე მეტად არ მომწონდა.

სამოქალაქო განათლება

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი საგანია, ბევრ სასარგებლო და საჭირო რამეს ვასწავლით – საზოგადოებრივ ცხოვრებას, მასში ადაპტირებას, ქცევებს, ვესაუბრებით საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის ნორმების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენი ცნობიერება ამ მიმართულებით ძალიან დაბალია, ელემენტარული უნარები არ გვაქვს, ბავშვებმა შუქნიშანზე სწორად გადასვლა არ იციან, რის გამოც ვსაყვედურობთ, მაგრამ არ ვკითხულობთ ასწავლეს თუ არა ეს უფროსებმა. მომწონს ეს საგანი და ამიტომაც გადავწყვიტე სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

ყოველდღიურ ჭიდილში გამარჯვებული მასწავლებლობა

ჩემს დროს სწავლა გაცილებით რთული იყო – იყო შემთხვევა, როცა ვიცოდი გაკვეთილი, მაგრამ არ მომიყოლია. მიზეზი იცით რა იყო? ქუჩის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ გაკვეთილის ცოდნა ბიჭებში ცუდ ტონად ითვლებოდა. დღეს ჩემი ყოველი მე-4 გაკვეთილი ამ თემას ეთმობა, განსაკუთრებით, სამოქალაქოს სწავლებისას. მინდა, ბავშვები ქუჩის ცხოვრებას მოვწყვიტო (მართალია, დღეს ეს პრობლემა ნაკლებად არის, ვიდრე ჩემს თაობაში), უფრო საინტერესო და სასარგებლო საქმით დავაკავო. თუნდაც ერთი ბავშვი რომ მოვწყვიტო ქუჩას, ეს უკვე საქმის კეთებაა. ბავშვებს რომ მოანდომებ, რაიმე კარგი აკეთონ, ამაზე სასიამოვნო და ამაზე მაგარი გრძნობა არ არსებობს. ყოველდღიური ჭიდილი მაქვს საკუთარ თავთან, ზოგჯერ ისე მაბრაზებენ ხოლმე, ვფიქრობ, აღარ მინდა სკოლა, მაგრამ მეორე წუთში, როგორც კი ვიგრძნობ, რომ მათ ვჭირდები, მაშინვე ჩემს თავს ისევ სკოლაში, ისევ მათ გვერდით ვხედავ. ეს ჭიდილი ყოველდღიურია, მაგრამ უარყოფითი არასდროს იმარჯვებს და იმედია, ის დადებითი 10 პროცენტი, რომელიც 90 უარყოფითზე იმარჯვებს, არასდროს დამტოვებს.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

ინფორმაცია

სამუშაო შეხვედრები უნგრეთში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, უნგრეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, უნგრეთის განათლების მიმართულების მინისტრს, პალკოვიჩ ლასზლოს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი ნინო ჭელიძე და საქართველოს ელჩი უნგრეთში ზაზა კანდელაკი.

ორი ქვეყნის მინისტრებს შორის საუბარი უმაღლეს განათლებას, განათლების დაფინანსებას და სტუდენტურ სესხებს შეეხო. უნგრეთს, ყველა ამ მიმართულებით, საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, საქართველო კი, მზად არის გაიზიაროს ეს გამოცდილება. ამაში ჩვენს ქვეყანას უცხოელი ექსპერტები დაეხმარებიან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სტუდენტების დაფინანსების კვოტის გაზრდასაც (საუბარია სახელოვნებო მიმართულებებით 10 ადგილის დამატებაზე).

ბუდაპეშტში, ასევე, მიმდინარეობს განათლების საერთაშორისო ცენტრისა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) მიერ დაგეგმილი მედია-ტრენინგი, რომელიც განათლების ინტერნაციონალიზაციას, ბოლონიის პროცესის მიმდინარეობას, განათლების პოლიტიკის მედია განხილვასა და გაშუქების სპეციფიკას ეძღვნება. ტრენინგის მონაწილეები „საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების“ პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული, საჯარო სამსახურებში დასაქმებული პირები და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები არიან. უნგრეთში ვიზიტის ფარგლებში, თამარ სანიკიძე ტრენინგის მონაწილეებსაც შეხვდა და მათ საქართველოსა და უნგრეთის უმაღლესი განათლების საკითხებთან დაკავშირებით ესაუბრა, კერძოდ, როგორ ხდება უმაღლესი განათლების დაფინანსება, ასევე, რა პარალელები და განსხვავებებია ორი ქვეყნის განათლების სისტემას შორის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 25 წლისაა

„მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის“ ფარგლებში, 17 ნოემბერს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა სამცხე-ჯავახეთში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ახალქალაქში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის სასტუმროს ტიპის რეაბილიტირებული საერთო საცხოვრებელი გახსნა.

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი ორ ქალაქში – ახალციხესა და ახალქალაქშია განთავსებული. მიმდინარე წელს განხორციელდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია ახალქალაქში. ოცი წლის განმავლობაში ელოდნენ სტუდენტები გაძარცვული და მიტოვებული შენობის აღდგენას. ამიერიდან კი, სასტუმრო საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს მოემსახურება და ამით, სწავლის ხელმისაწვდომობას გაზრდის, უფრო მეტად მოიზიდავს და დაამეგობრებს სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებს. თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებლის არსებობა ხელს შეუწყობს სხვა ქალაქებიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ამავე დღეს, ახალციხეში საზეიმოდ აღინიშნა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის დაარსებიდან 25 წლისთავი, რომელსაც ბევრი საპატიო სტუმარი დაესწრო. უნივერსიტეტი რეგიონის წამყვანი უმაღლესი სასწავლებელია და სახელმწიფოებრივ მისიას ასრულებს სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში, თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების, ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეში, ხელს უწყობს ქვეყნის სამეცნიერო წინსვლას. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ერთ-ერთი მრავალმხრივ წარმატებული რეგიონია, რაც ამ უნივერსიტეტის დიდი დამსახურებაა.

უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს რეგიონის სკოლებთან. მისი კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში ყველაზე ახალგაზრდული საშუალო ასაკი პედაგოგებში სწორედ სამცხე-ჯავახეთშია.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა, წარჩინებული სწავლისთვის, ახალქალაქში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საჯარო სკოლების 84 მეათეკლასელ მოსწავლეს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცეს. ყოველწლიურად, მოსწავლეები, რომლებიც საბაზო საფეხურს წარჩინებით ამთავრებენ, სახელმწიფოსაგან წამახალისებელ საჩუქარს იღებენ. პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და ყველა ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოზარდი სათანადოდ იქნება დაფასებული.

თამარ სანიკიძე: *„დღეს დავაჯილდოვეთ სამცხე-ჯავახეთის მოსწავლეები, ვინც საბაზო საფეხური უმაღლესი შეფასებით დახურა. ძალიან სასიამოვნოა, რომ ასეთი მოსწავლეების რაოდენობა მზარდია. ვფიქრობთ, მათი კომპიუტერებით დაჯილდოება საუკეთესო მოტივაციაა. ამ მხრივ მომავალშიც უნდა გავაგრძელოთ მუშაობა, რომ ეს მუხტი ბავშვებში არ დაიკარგოს. ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო დღეს მათ ცხოვრებაში, ზოგადად სკოლის ცხოვრებაში.*

გვქონდა შეხვედრა პედაგოგებთან, ახალი სქემის ფარგლებში. კიდევ ერთხელ გადავხედეთ, როგორ მიმდინარეობს დანერგვა, დანერგვის მონიტორინგი. ვფიქრობ ძალიან ნაყოფიერი და საინტერესო დღე იყო, რა თქმა უნდა სასარგებლო სასკოლო საზოგადოებისთვის.“

დარეჯან კევლიშვილი, დვირის საჯარო სკოლის დირექტორი: *„დღეს ნამდვილად წარმატებული დღეა, სასიხარულო ჩვენი ბავშვებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის. ბავშვებმა გასული სასწავლო წელი ძალიან კარგად დაამთავრეს და მთავრობისგან, განათლების სამინისტროსგან დასაჩუქრდნენ კომპიუტერებით. ეს ძალიან დიდი სტიმულია მათთვის.*

გაიმართა შეხვედრა განათლების მინისტრთან, მინისტრის მოადგილესთან. ქალბატონ ლია გიგაურს ვესაუბრეთ საჭირბოროტო საკითხებზე და ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი მივიღეთ. სკოლაში რომ მივალ, თანამშრომლებს ამ ყველაფერს გავაცნობ. განათლების სამინისტრო ყოველმხრივ მხარში გვიდგას, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით .“

❖ საერთო საცხოვრებელი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს მოემსახურება და ამით სწავლის ხელმისაწვდომობას გაზრდის;

❖ თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებლის არსებობა ხელს შეუწყობს სხვა ქალაქებიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

❖ აშენდა ზუგდიდის შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი;

❖ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი თბილისში სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს აშენებს, მშენებლობა 2016 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

შეხვედრა ყვარლის რაიონის პედაგოგებთან

სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრები მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. ამჯერად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა

და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები ყვარლის რაიონის პედაგოგებსა და დირექტორებს ილიას სახლ-მუზეუმში შეხვდნენ. შეხვედრა ჩვეულ რეჟიმში, დიალოგის ფორმით წარიმართა და ყველა იმ თემას შეეხნენ, რაც სკოლის წარმომადგენლებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ღონისძიების ფარგლებში, კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების 300-მდე მეათეკლასელ მოსწავლეს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ.

ლია გიგაური: *„უკვე ტრადიციად იქცა რეგიონებში სტუმრობა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრა. დღეს შევხვდით ყვარლის რაიონის პედაგოგებს, სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განვლილ პერიოდზე ვისაუბრეთ, შევაჯამეთ შედეგები და, რაც მთავარია, დავსახეთ მომავლის სამოქმედო გეგმები.*

დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია კახეთის რეგიონის მოსწავლეებისთვის, რადგან მათ კომპიუტერებით ვაჯილდოვებთ. მეცხრეკლასელები, რომლებმაც წარმატებით დასრულეს სასწავლო წელი, სახელმწიფოს მხრიდან, დაფასებულები არიან – მათ გადაეცემათ ის ნანატრი კომპიუტერები, რომლებიც მომავალში ხელს შეუწყობს თითოეულ მოსწავლეს, მეტი წვდომა ჰქონდეს საგანმანათლებლო რესურსებთან და მეტი იმუშაოს საკუთარ თავზე.“

მარიამ ჩომახიძე, თელავის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე: *„დღეს გადმომცეს კომპიუტერი წარჩინებული სწავლისთვის. ეს ჩემი პირველი კომპიუტერია. ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ. ეს ჯილდო უფრო მეტ სტიმულს მომცემს, უკეთ გავაგრძელო სწავლა.“*

პედაგოგთა დასახმარებლად

ლალი ვაშაკიძე

ქართული (დაწყებითი საფეხური)

თუ საძირკველი დანგრეულია...

მე იმ თაობის წარმომადგენელი გახლავართ, რომელსაც კარგად ახსოვს გიორგი ჭალადიდელის ცნობილი ლექსი „დედის დარიგება“. არ იფიქროთ, ნოსტალგიამ შემიპყრო, უბრალოდ მინდა გავიხსენო ის ფრაზა, რომელიც დღევანდელი სასაუბრო თემის კარს შეგვიღებს: „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“. ყველასთვის ცნობილია, რომ დაწყებითმა სკოლამ სერიოზული საფუძველი უნდა ჩაუყაროს საბაზო და საშუალო განათლებას. ეს ნათლად არის გაცხადებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში. რას ნიშნავს საძირკვლის ჩაყრა? მოსწავლე უნდა შევაიარაღოთ საჭირო გამოცდილებით და უნარ-ჩვევებით. ჩემს პრაქტიკაში ყველაზე ხშირად წავწყდომივარ ორ პრობლემას. ერთი გახლავთ ე. წ. მეთოდიკათა და სისტემათა შეუთავსებლობა, მაგალითად: სხვა სკოლიდან გადმოდის ბავშვი და მშობელი ამბობს, რომ იგი კარგი მოსწავლეა, არც ტყუის, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალი მოსწავლე ვერ ართმევს თავს საკლასო წერებს, დამოუკიდებელ სამუშაოებს. ამის მიზეზი არ უნდა ვეძებოთ ბავშვში ან მშობელში, უბრალოდ, მას არ აქვს სათანადო გამოცდილება და უნარ-ჩვევები, როგორც ჩანს, მისი ცოდნა ემყარება ინფორმაციის დაგროვებას, გაზეპირებას და წარმატებასაც ამის ხარჯზე აღწევდა. სხვა შემთხვევაში, ბავშვი ძალიან მიჯაჭვულია მშობელზე, დამხმარე მასწავლებელზე, რომელთა მიზანია დროულად და უშეცდომოდ დააწერინონ მოსწავლეს დავალება. ასეთ მოსწავლეებს ხშირად პრობლემები ექმნებათ დამოუკიდებელი სააზროვნო ამოცანების შესრულებაში. მშობელი გამოხატავს უკმაყოფილებას და მიზეზს სულ სხვაგან ეძებს. მას ჰგონია, რომ მასწავლებლის ეშინია და იბნევა. მიზეზი კი აქაც იგივეა – მოსწავლეს არ აქვს სათანადო გამოცდილება და უნარ-ჩვევები. მაღალ სააზროვნო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მეტაკოგნიციაზე საუბარი კიდევ ერთმა შემთხვევამ განაპირობა. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, მასწავლებელს ევალება თვითშეფასების კითხვარის შევსება. ერთ-ერთ ტრენინგზე დაწყებითი კლასის მასწავლებელმა იკითხა, ეხებოდა თუ არა მას მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების პუნქტი. ეს არ არის ერთეული გამონაკლისი. ხშირად მასწავლებელს ჰგონია, რომ ეს მხოლოდ ზედა საფეხურის ამოცანაა, ზოგიერთი მათგანი, სტანდარტისა თუ სახელმძღვანელოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, მუშაობს კიდეც შესაბამისი უნარების განვითარებაზე, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს არ არის ის დონე, რომელსაც შეიძლება მაღალი სააზროვნო უნარები დავარქვათ. ცოტა სხვა კუთხით რომ შევხედოთ მოვლენას, ყველაფერი შედარებითია, ბელურასათვის ხორბლის მარცვალია ლუკმა, არწივს კი მთლად ბელურაც არ ეყოფა...

გავიხსენოთ ცნობილი გამონათქვამი: „აზროვნება კი არ მოსდევს ცოდნას, არამედ ცოდნა მოსდევს აზროვნებას“. მასწავლებლის ამოცანაა მოსწავლეს გაუღვიძოს სწავლის მიმართ ინტერესი, ამას მივაღწევთ და შევინარჩუნებთ კიდეც, თუ ამოცანას მარტივი და გასაგები ენით მივაწვდით, მისი გადაჭრის სტრატეგიებს ვასწავლით. მასწავლებელი მუდმივად უნდა იყოს მოსწავლეებთან დიალოგში, ააქტიურებდეს მათ ცოდნას, ახალი მასალის კონსტრუირებისათვის იყენებდეს მათ დასკვნებს, ეხმარებოდეს ინფორმაციის დასტრუქტურებაში, ამასთანავე უნდა გააცნობიერებინოს შედეგის მიღწევის გზები, აჩვენოს ამ ცოდნის მნიშვნელობა, მისი სხვა სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობა. ეს არის თანამშრომლობა, რომელიც მოსწავლეს თავდაჯერებულობას მატებს, სამუშაო პროცესს საინტერესოდ წარმართავს და აზროვნების პროცესში აძლევს სათანადო ცოდნას.

მოდით, დავფიქრდეთ, ვიყენებთ თუ არა დაწყებით კლასებში სააზროვნო უნარების განმავითარებელ სტრატეგიებს. ენის გრამატიკული ცნებების შესწავლისას ხშირად მივმართავთ საკვლევ ტექსტს, მოვიძიებთ სათანადო მასალას, გავმიჯნავთ, შევადარებთ, დავასტრუქტურებთ, გამოვიტანთ დასკვნას, ვიყენებთ მას ახალი ამოცანების კონსტრუირებისათვის და ვიღებთ როგორც შესაბამის ცოდნას, ასევე სათანადო სასწავლო უნარებს. ლიტერატურის შესწავლისას ხშირად ვსამთ ღია კითხვებს: რატომ მოხდა ესა თუ ის მოვლენა? რატომ მოიქცა პერსონაჟი ასე თუ ისე? ვაფასებთ მოვლენებს; ტექსტში მოძიებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, ვადგენთ პერსონაჟთა ხასიათს; ტექსტში მოცემულ პრობლემას განვიხილავთ ეთიკური თუ სოციალური თვალსაზრისით; განვიხილავთ, ვადარებთ ერთმანეთს მოვლენებს, პერსონაჟთა ქცევებს, ხასიათებს, ვადგენთ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს, ასეთ დროს მასწავლებლები ხშირად იყენებენ ვენის დიაგრამას; დასტრუქტურების კარგი მეთოდია ფერად სტიკერებზე ჩამოწერილი მასალის სათანადო სქემაში ჩაწებება. მთავარია, ამ პროცესში აქტიური იყოს მოსწავლე, მასწავლებელი კი პროცესის მაორგანიზებელ, წარმმართველ პიროვნებად გვევლინებოდეს.

დაწყებით კლასებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გააზრებული კითხვის მეთოდების გამოყენებას, რომელიც საფუძველია სააზროვნო უნარების განვითარებისა. ამის გარეშე, ამაო იქნება ყოველი შრომა. მოსწავლე გააზრებულად უნდა კითხულობდეს ტექსტს, აღიქვამდეს მის სტრუქტურას, დანიშნულებას, აქედან გამომდინარე, პოულობდეს სათანადო ინფორმაციას და ა.შ.

შევეცადოთ, მესამეკლასელებს გავაცნოთ პერსონაჟის დახასიათების სქემა, ვასწავლოთ შედარებითი ანალიზის უმარტივესი სტრატეგიები. სამუშაო მასალად ავიღოთ ერთი პატარა, მარტივი და სახალისო მოთხრობა „ცრუპენტელები“, რომელშიც, შეიძლება ითქვას, ზედაპირზე დევს პერსონაჟთა განსხვავებული ქცევა. ჩვენი მიზანი იქნება მოსწავლეთათვის გასაგებ მასალაზე ავაგოთ მეტაკოგნიციური უნარების განვითარება, მოგვიანებით კი ნელ-ნელა გავართულებთ ამოცანას. მოთხრობის სიუჟეტი მარტივია: ბაღის სკამზე სხედან გიო და დათო, ერთმანეთს ტყუილების თქმაში ეჯიბრებიან, ჰყვებიან ათასგვარ უცნაურ, დაუჯერებელ ამბებს, მათ მეზობელი მამუკა შეუერთდა და გაუკვირდა, რა აზრი ჰქონდა ასეთ ტყუილს, მან კი თურმე ისეთი ტყუილი თქვა, რომ იხეირა კიდეც. მშობლები სტუმრად წავიდნენ და მამუკა დასთან დატოვეს, როდესაც დაიკო სოფოს დაეძინა, მოიპარა მურაბა და სიამოვნებით მიირთვა. დაძინებულ დას ტუჩებზე მურაბის წვენი მოუსვა და ქურდობა მას დააბრალა, დაიკო დასაჯეს, მას კი მურაბით გაუმასპინძლდნენ. გიო და დათო გაბრაზდნენ: – შენ ჩვენი მეგობარი არ ყოფილხარო. მამუკა გაოცდა: – თქვენ რა, არა ხართ მატყუარები? ბიჭებმა კი უპასუხეს: – არა, ჩვენ მხოლოდ ცრუპენტელები ვართ, რადგან ჩვენი ტყუილი არავის ვნებს.

ტექსტის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი აკრავს წინასწარ გამზადებულ სქემას, მასში მხოლოდ მიზნის გამომხატველი რუბრიკებია მინიშნებული, ღია კითხვებია ჩაწერილი (მუქად დამარკერებულია სქემაში)

დავახასიათოთ პერსონაჟები და შევადაროთ ერთმანეთს		**მიზანი**
რა საერთო აქვთ პერსონაჟებს? სამივენი ცრუობენ, მაგრამ მაინც რით განსხვავდებიან გიო და დათო მამუკასგან?		**საკითხის დასმა**
როგორი არიან გიო და დათო?	**როგორია მამუკა?**	
მხიარული ფანტაზიორი ცრუპენტელა მეგობრული	ქურდბაცაცა მატყუარა უსინდისო არამეგობრული	**მოსაზრებები**
თქვენი მოსაზრება გაამყარეთ ტექსტიდან მოყვანილი მაგალითებით		**არგუმენტები**
1. რას ამბობენ დათო და გიო თავიანთი საქციელის შესახებ?	1. რას ამბობს მამუკა თავისი საქციელის შესახებ?	1. პერსონაჟთა აზრები
როცა მამუკამ ისინი ერთმანეთის მოტყუებაში დაადანაშაულა, გიომ და დათომ უპასუხეს: „რას ვატყუებთ, ისე ვიგონებთ რა, ვითომ ზღაპრებს ვყვებით“.	მამუკა კი ამბობს: „მე გუშინ ისე მოვიტყუე, რომ კიდეც ვიხეირე!“	
2. როგორ იქცევიან გიო და დათო?	2. როგორ იქცევა მამუკა?	2. პერსონაჟთა საქციელი
ერთმანეთს ტყუილების თქმაში ეჯიბრებიან, ჰყვებიან ათასგვარ უცნაურ, დაუჯერებელ ამბებს, თამაშობენ, მხიარულობენ.	მოიპარა მურაბა, მიირთვა. დაძინებულ დას ტუჩებზე მურაბის წვენი მოუსვა და ქურდობა მას დააბრალა. დაიკო დასაჯეს, მას კი მურაბით გაუმასპინძლდნენ.	
3. როგორ შეაფასეს გიომ და დათომ მამუკას საქციელი	3. როგორ შეაფასა მამუკამ გიო და დათო?	3. პერსონაჟთა ურთიერთშეფასება
ესე იგი, შენი გულისთვის სხვას მოხვდა, არა? შენ ჩვენი მეგობარი არ ყოფილხარ?	ტყუილს კი იგონებთ, მაგრამ რა ხეირი გაქვთ მაგ ტყუილებიდან?	
4. მწერლის აზრით , რას ნიშნავს იყო ცრუპენტელა და რას ნიშნავს იყო მატყუარა?		დავაკვირდეთ სიტყვებს
ცრუპენტელობა მხიარული თამაშია, მისი სიკეთე გართობაშია, ტყუილი კი ცუდი საქციელია, მის გამო შეიძლება უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოს.		**დასკვნა**

მასწავლებელი აკრავს ცხრილს, რომელშიც მხოლოდ შეკითხვები, ამოცანები და მუშაობის კომპონენტებია მოცემული და მოსწავლეებმა უნდა გამოხატონ მოსაზრებები, მოიძიონ ტექსტში დამადასტურებელი მაგალითები და გააკეთონ დასკვნა. მასწავლებელს შეუძლია ამუშაოს მოსწავლეები წყვილებად. ერთი რიგი მუშაობს დათოსა და გიოს დასახასიათებლად, მეორე – მამუკასი. სტიკერებზე ჩამოწერილ აზრებსა და არგუმენტებს კითხულობენ და მას მერე, რაც შეთანხმდებიან, რომ დავალება შესრულებულია, სტიკერებს აკრავენ შესაბამის გრაფაში. მათი ნააზრევი და ნამუშევარი ჯამდება და მოკლედ იწერება ცხრილშიც, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ მიერ შედგენილ ნიმუშშია მოცემული.

ამის მერე მასწავლებელი აჯამებს სამუშაოს:

გავიხსენოთ როგორ ვიმუშავეთ, რის მერე რა გავაკეთეთ?

1. შევისწავლეთ ტექსტი;
2. დავისახეთ მიზანი, კერძოდ, პერსონაჟების დახასიათება და შედარება;
3 . დავაჯგუფეთ შესადარებელი პერსონაჟები;
3. გამოვთქვით მოსაზრებები;
4. მოვძებნეთ მოთხრობაში ჩვენი მოსაზრებების დამადასტურებელი მაგალითები, ანუ არგუმენტები: რას ფიქრობენ პერსონაჟები და რას აკეთებენ, როგორ იქცევიან, რას ამბობენ ერთმანეთზე;
6. დავფიქრდით, რისი თქმა სურდა მწერალს.

სამუშაოს დასკვნით ეტაპზე, მზა სქემის მიხედვით, ერთმა რიგმა დაწეროს გიოსა და დათოს დახასიათება, მეორემ – მამუკასი.

თემის სქემა იქნება მარტივი:
მე ვფიქრობ გიო და დათო არიან .....
რადგან ისინი ფიქრობენ, რომ.....
ისინი ცუდად არ იქცევიან, რადგან.....
მე მათ დავარქმევდი .....

მეორე თემის სქემაც ანალოგიური იქნება:
მე ვფიქრობ მამუკა არის .....
რადგან ის ფიქრობს, რომ.....
იგი ცუდად იქცევა, რადგან.....
მე მას დავარქმევდი .....

ჩატარებული სამუშაოს მონიტორინგი მეტაკოგნიციის უნარის გასავითარებლად ერთ-ერთი აპრობირებული გზაა. ვფიქრობთ, მისი გამოყენება დაწყებით კლასებშიც შესაძლებელია.

იმედია, კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ის, რასაც მასწავლებელი გაკვეთილზე ხშირად აკეთებს და ჩავთვალოთ, რომ გარკვეული მონიტორინგი გავუწიეთ ჩვენს მუშაობას. ვფიქრობთ, საკითხისადმი მიდგომა სწორია და დანარჩენი გამოცდილი მეთუნის საქმეა, საიდან მიაბამს დოქს ყურს.

იუბილე

გვინდა გიამბოთ ერთ ჭაღარაშერეულ, წლებით დამძიმებულ ქალბატონზე, რომელიც 50 წელია თბილისის ერთ-ერთ ძველ და განსაკუთრებულ უბანში, ყოველ დილით, აუჩქარებელი ნაბიჯით გამოდის სახლიდან და №190 საჯარო სკოლის კარს ასევე აუჩქარებელად შეაღებს. მას აქ ყველა ელოდება: მოსწავლეები თუ თანამშრომლები. ის ყველასთვის მასწავლებელი, ჭკუის დამრიგებელი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, მართალი სიტყვის მთქმელი, მუდამ მოსწავლეებით თუ თანამშრომლებითაა გარშემორტყმული.

№190 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის კარი მუდამ ღიაა და თუ შემთხვევით დაკეტილი დაგვხვდა, მთელი სკოლა მოუთმენლად ელოდება ქალბატონი ლალის გამოჩენას.

ლალი კუჭავა 50 წელია ღირსეულად ემსახურება სკოლას, ზოგს წიგნს შეურჩევს, ზოგს ღონისძიების მომზადებაში დაეხმარება, ზოგს კი ტკივილი აწუხებს და ამ ტკივილის გაზიარება უნდა. იგი ყველას მოსასმენად და დასახმარებლად მზად არის.

ქალბატონო ლალი, გილოცავთ მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს.

სსიპ ქალაქ თბილისის№190 საჯარო სკოლის კოლექტივი

გამოცდილება

ბენჯამენ ბლუმის განათლების მიზნების ტაქსონომიის გამოყენება ისტორიის გაკვეთილებზე

რამდენიმე წელია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბათუმის მასწავლებლის სახლის ეგიდით, ვატარებ ტრენინგებს აჭარის რეგიონის ისტორიის მასწავლებლებისათვის. ეს არის „გრძელვადიანი კურსი მსოფლიოს და საქართველოს ისტორიაში“, საიდანაც მინდა გამოვყო მეოთხე მოდული: „ისტორიის სწავლების მეთოდიკა“.

ამ მოდულის მიმდინარეობისას ერთ-ერთი აქტივობა, რაც მასწავლებელს ევალება, მოსწავლეებისთვის ბოლო გაკვეთილზე დასმული კითხვების ჩამოწერაა. მასწავლებლები შეზღუდულნი არ არიან კლასისა და თემის შერჩევაში. სწორედ ამ აქტივობის ანალიზისას გამოვლინდა, რომ მასწავლებლების უმრავლესობა, ძირითადად, აქცენტს მხოლოდ ცოდნის, ცოდნის გამოყენების და გაგების შეკითხვებს სვამს (ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა მოიცავს აჭარის 3 მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებისა და იმერეთის ერთი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებლებს). მათი დიდი ნაწილი სერტიფიცირებულია, რაც მაფიქრებინებს, რომ მასწავლებლებმა იციან სწავლების თეორიები, მაგრამ მათი პრაქტიკაში გამოყენება უჭირთ. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ ბენჯამენ ბლუმის „საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიას“. ამიტომ გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ დავუბრუნდე ბლუმის ტაქსონომიას და, კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, განვიხილოთ, როგორ დავგეგმოთ და წარვმართოთ ისტორიის გაკვთილი ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით.

ბლუმის განათლების მიზნების ტაქსონომია

ბენჯამენ ბლუმი – ამერიკელი განათლების ფსიქოლოგი მოღვაწეობდა 1913-1999 წლებში. მას განსაკუთრებით აინტერესებდა მოზარდის აზროვნებითი აქტივობა სასწავლო პროცესში. განათლების სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად, ჩამოაყალიბა „განათლების მიზნების ტაქსონომია“, რომლის ძირითადი მიზანიც იყო განათლების სპეციალისტებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, სასწავლო კურიკულუმების და შეფასების სისტემების შექმნის ხელშეწყობა და სხვ.

„ტაქსონომია“ ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს ისეთ ქმედებას, რომელიც კლასიფიცირებას უკავშირდება. ქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ობიექტთან, ისე ცნებებთან და იდეებთან. გარდა ამისა ის შეიძლება ეფუძნებოდეს გარკვეული პრინციპების აღწერას, რომელსაც კლასიფიკაცია ეფუძნება. ბენჯამენ ბლუმის ტაქსონომიაც სწორედ სასწავლო მიზნების კლასიფიკაციას და ამ კლასიფიკაციის პრინციპების აღწერას ისახავს მიზნად.

ბენჯამენ ბლუმის განათლების მიზნების ტაქსონომია სამ სფეროში გამოიყენება. ესენია:

1. გონებრივ-კოგნიტური, ანუ შემეცნება, აზრები და ცოდნა;
2. აფექტურ-ემოციური, ანუ გრძნობები, განწყობები და დამოკიდებულებანი;
3. ფსიქომეტრული, ანუ ფიზიკური უნარები და ჩვევები;

მე განვიხილავ მხოლოდ გონებრივ-კოგნიტურ სფეროს – შემეცნებას, აზრებს და ცოდნას.

ბლუმის საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიის მიხედვით გამოიყოფა აზროვნების ექვსი ძირითადი დონე.

როგორც ვხედავთ, აზროვნების დონეები საფეხურებს ქმნიან. ყოველი მომდევნო საფეხური რთულდება და მისი მიღწევა, წინა დონეების დაძლევის გარეშე, თითქმის, წარმოუდგენელია. გასათვალისწინებელია, რომ ცოდნა, გაგება და გამოყენება აზროვნების ქვედა დონეშია გაერთიანებული, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – აზროვნების ზედა დონეში. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები გაკვეთილზე, ძირითადად, მხოლოდ აზროვნების ქვედა დონის შეკითხვებს სვამენ და აზროვნების ზედა დონის კითხვებს – იშვიათად ან არასდროს. რა თქმა უნდა, ყველა გაკვეთილზე, შეუძლებელია, რომ მიიღწეოდეს აზროვნების მაღალი დონეები, მაგრამ მასწავლებლის მოვალეობაა მოამზადოს მოსწავლეები მაღალი სააზროვნო დონეების დასაძლევად.

მოკლედ მიმოვიხილოთ ბლუმის განათლების მიზნების ტაქსონომიის ექვსივე დონე:

1. **ცოდნა**, რაც გულისხმობს რაიმე მოვლენის შესახებ ინფორმაციის არსებობას. ამ შემთხვევაში, მოსწავლე რაიმე აქტივობის შესასრულებლად საჭირო ხერხებს ფლობს, რაც ძირითადად გამოიხატება ფაქტების, თარიღების ცოდნაში. სხვადასხვა ისტორიული მოვლენების ცნობასა და დასახელებაში. ისტორიული ტერმინოლოგიის ცნობაში, ინფორმაციის მოძიების პროცედურების ცოდნაში, კონკრეტულ მონაცემებთან მუშაობის ხერხების და საშუალებების ცოდნაში, სხვადასხვა ინფორმაციის დამახსოვრება და შემდეგ მისი გახსენება ზუსტი ან მსგავსი ფორმით.

2. **გაგება**, რაც გულისხმობს მასალის მნიშვნელობის წვდომას, გაგებას. ამ შემთხვევაში, მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სიტყვებით ახსნას ტექსტი, ისეთ კითხვებზე გასცეს ამომწურავი პასუხი, რომელიც მიმართულია ტექსტის შინაარსის გაგებაზე, შეუძლია ინფორმაციის ერთი ფორმატიდან სხვა ფორმატში გადატანა, შესაბამისი მაგალითების მოტანა და სხვადასხვა მოვლენების დახარისხება ან დაჯგუფება.

3. **გამოყენება**, რაც გულისხმობს უკვე ნასწავლი მასალის პრაქტიკაში გამოყენებას. ამ შემთხვევაში, მოსწავლეს შეუძლია ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება, უკვე ნასწავლი მასალის გამოყენებით ახალი დავალების შესრულება, სხვადასხვა პროცედურების განხორციელება და სხვ.

4. **ანალიზი**, რაც გულისხმობს მასალის ნაწილებად დაყოფას, მთავარის და არამთავარის განსაზღვრას, პროცესებს შორის კანონზომიერების აღმოჩენას, ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და სხვ. ამ სააზროვნო დონის დაძლევის შედეგად მოსწავლემ უნდა შეძლოს მოვლენის დაფარული აზრის ამოცნობა და კავშირის დადგენა სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებს შორის.

5. **სინთეზი**, გარკვეულწილად, ანალიზის საწინააღმდეგო უნარია, რადგან იგი გულისხმობს უკვე ნასწავლი მასალის გონებაში გაერთიანებას, ჩამოყალიბებას ერთიან სტრუქტურულ ერთეულად. ამ დონის დაძლევის შემთხვევაში, მოსწავლეს უნდა შეეძლოს ისტორიული კვლევის დაგეგმვა და პროდუქტის შექმნა, პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა ალტერნატიული გზების მოძებნა, საჭირო მოქმედებების დაგეგმვა-განხორციელება და სხვ.

6. **შეფასება** გულისხმობს არჩეული კრიტერიუმების გარკვეული კატეგორიისადმი მიკუთვნებას, სტანდარტებზე და პირობებზე დაყრდნობით რაიმეზე მსჯელობას ან დასკვნების გამოტანას. ამ შემთხვევაში, მოსწავლეს შეუძლია საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად დასაბუთება, დასკვნების გაკეთება, პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული გზიდან ერთ-ერთის არჩევა და მისი დასაბუთება, დასკვნის შესაბამისობა იმ მონაცემებთან, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა და სხვ. (უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება შეფასება და სინთეზი გადანაცვლდეს, რაც დამოკიდებულია შეფასების ფორმაზე. თუ შეფასება არ არის სტრატეგიული და არ უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას, შეიძლება უფრო დაბალ სააზროვნო უნარად განვიხილოთ, ვიდრე სინთეზი).

ახლა შევეცდები სქემატურად წარმოვადგინო ის კითხვები, რაც ბლუმის ტაქსონომიის თითოეულ დონეს შეესაბამება

სააზროვნო დონეები	კითხვა
ცოდნა	დაალაგე; აღწერე; განსაზღვრე; გაიხსენე; შეარჩიე; დააკავშირე; დაასახელე; გაიხსენე
გაგება	ახსენი; შეაჯამე; განსაჯე; მოიყვანე მაგალითი; დააჯგუფე; შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე
გამოყენება	გამოიყენე; გადაწყვიტე; განახორციელე; მოამზადე; შეცვალე; ააგე
ანალიზი	გააანალიზე; შეამოწმე; ააგე დიაგრამა; შეადარე
სინთეზი	შეიმუშავე გეგმა; გადაამოწმე; გარდაქმენი; ააწყვე; შეცვალე; შეიმუშავე ჰიპოთეზა და შეამოწმე
შეფასება	შეაფასე; დაასაბუთე; გამოიკვლიე; მოიყვანე არგუმენტები

აღსანიშნავია, რომ ბლუმის ტაქსონომიის თითოეული სწავლის შედეგი იწყება აქტიური ზმნით. მაგალითად, როგორიცაა: აღწერს, ჩამოთვლის, განსაზღვრავს, ხსნის, ამოიცნობს, არჩევს, იყენებს, უჩვენებს, აანალიზებს, ადარებს, განიხილავს, შეიმუშავებს, აჯამებს, აფასებს, პროგნოზირებს და სხვ.

ბლუმის განათლების მიზნების ტაქსონომიის შესაბამისად, წარმოვადგენ ერთ საგაკვეთილო პროცესს. რა კითხვების დასმით შეიძლება მასწავლებელმა მოსწავლეებს ხელი შეუწყოს და განუვითაროს მაღალი სააზროვნო უნარები.

	სააზროვნო დონეები	კითხვები
1	ცოდნა	ჩამოთვალე ალექსანდრე მაკედონელის მიერ გადახდილი ბრძოლები; მოიყვანე მაგალითი, რაც ადასტურებს, რომ ალექსანდრე მაკედონელი იყო ჭკვიანი სარდალი
2	გაგება	ახსენით პირველი მსოფლიო ომის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები ომის შემდგომ მსოფლიოზე ამოიცანით ის ძალები, რომლებსაც სურდათ XV საუკუნეში საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად?
3	გამოყენება	რა საერთო ნიშნები ახასიათებს იმპერიებს? რა გავლენა მოახდინა „გეორგიევსკის ტრაქტატმა“ ქართლ-კახეთის სამეფოს ბედზე?
4	ანალიზი	გრაფიკულად წარმოადგინეთ გავგამელას ბრძოლა; ერთმანეთს შეადარეთ ალექსანდრე და დარიოსი; ერთმანეთს შეადარეთ ოსმალეთის და ირანის პოლიტიკა საქართველოს მიმართ XVI-XVII საუკუნეებში
5	სინთეზი	განიხილეთ ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობის შედეგები; შეაჯამეთ საფრანგეთის 1789-1792 წლების რევოლუციის მიზეზები და შედეგები
6	შეფასება	შეაფასე ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობა; შეაფასე საქართველოს ისტორიის განვითარებაში ძირითადი მონაწილეების მნიშვნელობა (მაგ. დავით აღმაშენებელი ან ზვიად გამსახურდია და ა.შ.). განსაზღვრე ის მიზეზები, რამაც გამოიწვია აქამენიდური ირანის მარცხი

გასათვალისწინებელია, რომ ბლუმის ტაქსონომიის ექვსი კატეგორიისათვის მკვეთრად განსაზღვრული ზმნები მხოლოდ ერთი კატეგორიისათვის არ არსებობს და მათი გამოყენება სხვადასხვა კატეგორიებში მოსალოდნელი და მისაღებია. აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ, რა პასუხს გასცემს მოსწავლე ამა თუ იმ დონის შეკითხვას, რადგან შეიძლება კითხვა სინთეზის ან შეფასების იყოს, მაგრამ პასუხი ცოდნის კატეგორიას ვერ გასცდეს.

მოკლედ განვიხილოთ, რა აქტივობები უნდა განახორციელოს მასწავლებელმა, რომ, ერთი მხრივ, გავიდეს სწავლების შედეგზე და, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მაღალი უნარების განვითარებას.

ბლუმის განათლების მიზნების ტაქსონომიის დონეების დასაძლევად, პირველ რიგში, მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესი შემდეგნაირად უნდა დაგეგმოს. იმისათვის, რომ მოსწავლემ პირველი დონე დაძლიოს, მასწავლებელმა მას უნდა მიაწოდოს ახალი ფაქტები, მოვლენები და მკაფიოდ განუმარტოს ისინი.

მეორე დონის მიღწევისათვის აუცილებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს წარმოუდგინოს თემის, მოვლენის ადეკვატური თვალსაჩინოება (მაგალითად რუკა ან სხვადასხვა ისტორიული რესურსი). შემდეგ შეაჯამოს ახალი ცნებები, ინფორმაცია და ერთ მთლიან ნაწილად წარმოადგინოს.

მესამე დონის დაძლევის ხელშესაწყობად მასწავლებელმა ისეთი ტიპის დავალებები უნდა მისცეს მოსწავლეებს, რაც მათგან ნასწავლი მასალის გამოყენებას მოითხოვს. ეს შეიძლება იყოს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და სხვ. მაგალითად, თუ განვიხილავთ, რა არის დემოკრატია ან დიქტატურა, მოსწავლეებს დავავალოთ ნასწავლი ისტორიული პიროვნებები ან სახელმწიფოები სწორედ ამ ნიშნით დააჯგუფონ.

მეოთხე დონის დასაძლევად მასწავლებელი არჩევს ისეთ დავალებებს, რომელიც მოსწავლისაგან მოითხოვს სხვადასხვა ისტორიული მოვლენების ან პიროვნებების შედარებას, კონკრეტულ ისტორიულ თემასთან დაკავშირებით ფაქტების მოძიებას და სხვ. მაგალითად, ერთმანეთს შეადაროს ბერძნული პოლისები – ათენი და სპარტა ან ირანისა და ოსმალეთის იმპერიები, კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში და სხვ.

მეხუთე დონის მისაღწევად უმჯობესია, მოსწავლეებს ისეთი დავალებები მივცეთ, რაც მათგან მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, სხვადასხვა ჰიპოთეზების შემუშავებას და სხვ.

მეექვსე დონის დასაძლევად კი აუცილებელია მასწავლებელმა კარგად დაგეგმოს დისკუსია, სადაც ძირითადი აქცენტები გაკეთდება პრაქტიკულ მიდგომებზე და არგუმენტირებულ მსჯელობაზე. ამ შემთხვევაში, მოსწავლემ უნდა შეძლოს კრიტიკულად განიხილოს ისტორიული წყარო და ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია, რომელიც არგუმენტებით იქნება გამყარებული.

ზემოთქმული დაგვეხმარება მასწავლებლებს, გავაუმჯობესოთ სწავლა-სწავლების პროცესი და ისეთ შედეგზე გავიდეთ, რომელიც ორიენტირებული იქნება არა ნასწავლის შინაარსზე, არამედ მოსწავლის მიღწევებზე.

კახაბერ ჩაკვეტაძე
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბათუმის მასწავლებლის სახლის ისტორიის მიმართულების ტრენერი

რეგიონი

იცნობდეთ...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტები და პროგრამები მიმართულია ზოგადი განათლების სისტემის გაჯანსაღებისთვის, საჯარო სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ერთ-ერთი ასეთი პროგრამა გახლავთ „ასწავლე საქართველოსთვის“, რომელიც 2009 წლიდან წარმატებით მუშაობს. პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით, სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში.

პროგრამის მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლები შეირჩევიან კონკურსის წესით და იგზავნებიან მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლებში და სკოლის დირექციასთან თანამშრომლობით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ერთ-ერთი ასეთი სკოლა გახლავთ მესტიის მუნიციპალიტეტის იელის საჯარო სკოლა. ორიოდე სიტყვით გაგაცნობთ ამ ულამაზეს სოფელს, რომელიც ზღვის დონიდან 1740 მეტრ სიმაღლეზე შეფენია სვანეთის ერთ-ერთი ქედმაღალი მთის კალთას. ადრე თურმე აქ 80-მდე კომლი ცხოვრობდა, ამჟამად მხოლოდ 21 მოსახლეა. სოფლისთვის 9-წლიანი სკოლა ერთადერთი სულიერი საზრდოა, სოფელში დარჩენის ერთადერთი სტიმული. 13-ბავშვიანი სკოლა სოფლის ცენტრშია და 21-ვე კომლი მის გარშემოა განფენილი. სკოლას ხელმძღვანელობს ქალბატონი **ლეილა ხვიბლიანი**. სწორედ ქალბატონ ლეილაზე და სკოლის პედკოლექტივზე მინდა მოგიყვეთ, გაგაცნოთ ეს ღირსეული ადამიანები.

ქალბატონი ლეილა ამ სოფელში დაიბადა და გაიზარდა. სწავლობდა ამავე სკოლაში, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად დაბრუნდა, 2007 წლიდან კი სკოლას ხელმძღვანელობს. ქალბატონი ლეილა გამორჩეული ადამიანია და გამორჩეული დირექტორიც. იგი უაღრესად განათლებული, ამავე დროს, ძალიან თავმდაბალი ადამიანია, არ უყვარს, როცა აქებენ. აქტიური და შრომისმოყვარეა, სკოლისთვის თავგადადებული, ყველაფერს აკეთებს, რომ მოსწავლეებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ. კოლექტივში დიდი პატივისცემით სარგებლობს, სამართლიანია, რაც, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ კოლექტივი ერთი სხეულივითაა.

რადგან სოფელი თითქმის დაცლილია, პედაგოგების დეფიციტიც ბუნებრივი მოვლენაა. სწორედ ეს პრობლემა გადაჭრა დირექტორმა, როცა სკოლა ჩართო პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“. ქალბატონი ლეილა იხსენებს: „არ იყო მარტივი ამ გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება, რადგან ადგილობრივი ადამიანების განთავისუფლება მიწევდა მასწავლებლობიდან“. მშობლების თანადგომით, ქალბატონმა ლეილამ ეს საკითხი ისევე უმტკივნეულოდ მოაგვარა, როგორც სხვა მრავალი. იგი ნამდვილად კარგი მენეჯერია.

ყოველ წელს, სკოლაში 3-4 კონსულტანტ-მასწავლებელია, რომლებიც სხვადასხვა საგანს ასწავლიან. 2009 წლიდან დღემდე, აქ ჩამოსული ყველა მასწავლებელი ერთსა და იმავეს გეტყვით, რომ ქალბატონმა ლეილამ თბილად მიიღო, იზრუნა საუკეთესო ოჯახებში დაბინავებაზე, დაახვედრა საუკეთესო (სოფლის სკოლის კვალობაზე) სასკოლო გარემო, ინფრასტრუქტურა, რომ პედაგოგები უზრუნველყოფილნი არიან კომპიუტერული მომსახურებით.

ადგილობრივი პედაგოგები, მათ შორის დირექტორიც, აღნიშნავენ, რომ კონსულტანტ-მასწავლებლების ჩამოსვლის შემდეგ სწავლა-სწავლების ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა, მაღლდება ადგილობრივი მასწავლებლების კვალიფიკაცია და, რაც მთავარია, მატულობს თემის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

2015-2016 სასწავლო წელს, იელის საჯარო სკოლაში, 3 კონსულტანტ-მასწავლებელია, მათ შორისაა **მამა არჩილი (ბურჯანაძე)**, რომელიც აღნიშნული პროგრამით 2009 წელს ჩამოვიდა და დღემდე მათემატიკას ასწავლის, შარშან სოფლის სულიერი მოძღვარიც გახდა. იგი პროგრამის ერთგული აღმოჩნდა. წარმატებები მას.

დიდი მადლიერებით გაგაცნობთ სკოლის ადგილობრივ პედაგოგებს: უხუცესი **ნინა ქალდანი** გეოგრაფიას ასწავლის, ახალგაზრდა მასწავლებლები: **დარიკო ხვიბლიანი** – ხელოვნების, **სოფიო ხვიბლიანი** – მუსიკის, **მერი ხვიბლიანი** – ისტორიის, **ლერი სამსიანი** – ინგლისურის, **როლანდ ხვიბლიანი** – სპორტის, **ბროლისა ლუხუტაშვილი** – რუსულის, **თამრიკო მინდიაშვილი** – დაწყებითების – კეთილგანწყობილი ადამიანები, რომლებიც მზად არიან თანამშრომლობისთვის და რომლებთან ერთადაც იგეგმება და ხორციელდება როგორც სასკოლო, ისე კლასგარეშე ღონისძიებები, საგანმანათლებლო პროექტები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი აქტივობები. თითოეული მათგანი გულმოდგინედ ემსახურება მოსწავლეებს, ცდილობენ სიახლეები შეიძინოს პროგრამის მასწავლებლებისგან. სქემაში ჩართვამ კიდევ უფრო აამაღლა მათი მოტივაცია, რომ ჩააბარონ საგნობრივი გამოცდები.

აი, ასეთი გახლავთ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელი იელი, იელის საჯარო სკოლა, მისი დირექტორი და პედკოლექტივი. ამ ადამიანებს უნდა იცნობდეთ. „ახალი განათლების“ მეშვეობით, უღრმეს მადლობას ვუხდით, 2009 წლიდან დღემდე ჩამოსულ, ყველა კონსულტანტ-მასწავლებელს, ამ კეთილ ადამიანებს, რომლებიც ოჯახის, შვილების, ახლობლების მონატრებას ყოველდღიურად გვიმსუბუქებენ.

ნატა კვარაცხელია
დაწყებითი კლასების
კონსულტანტ-მასწავლებელი
2014-2015 სასწავლო წლიდან

ინფორმაცია

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია გახსნა, რომლის მიზანი იყო სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებისთვის, ექსპერტებისთვის, უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებისთვის, ასევე სფეროში არსებული ინოვაციების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება.

კონფერენციის თემატური მიმართულებები – სწავლა და სწავლება ციფრულ ეპოქაში; მენეჯმენტი და ლიდერობა; პროფესიული განვითარება; სწავლა-სწავლებაში ისტ-ის გამოყენების შესახებ განხორციელებული კვლევები და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: დარგის ექსპერტები და ტრენერები, ასევე სკოლების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

ღონისძიებაში 250-ზე მეტი სპეციალისტი იყო ჩართული, მათ შორის 58 პირი – მომხსენებლის სტატუსით.

კონფერენციის სპონსორები და მხარდამჭერები – ინტელი, მაიკროსოფტი, ლიბერთი ბანკი და ესაბი.

3-დღიანი კონფერენციის ფორმატი მრავალფეროვანი იყო და შედგებოდა: მოწვეული ექსპერტების პლენარული მოხსენებებისგან; პარალელური სესიებისგან, სადაც მონაწილეები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის საუკეთესო პრაქტიკას, სტრატეგიებსა და ინოვაციურ იდეებს წარადგენდნენ; პოსტერების სესიისგან, სადაც ინტერაქციულ რეჟიმში იყო წარმოდგენილი სკოლის, მასწავლებლის ან წარმატებული პროექტის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა წარმატებული მაგალითები; ტექნოლოგიების სესიისგან – „მოიტანე საკუთარი მოწყობილობა“, რომელიც კომპიუტერულ მოწყობილობებთან პრაქტიკული სამუშაოებისგან შედგებოდა. ასევე, სასკოლო ვიზიტისგან, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითის დემონსტრირებისა და კონკრეტული ტექნოლოგიის გაცნობის მიზნით.

კონფერენციის პირველივე დღეს გაიმართა ტექნოლოგიების გამოფენა იმ კომპანიების ორგანიზებით, რომლებიც ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწეობენ ან საგანმანათლებლო სეგმენტისთვის ქმნიან პროდუქციას. გამოფენის მიზანი – კომპანიებმა წარმოადგინონ ის შესაძლებლობები, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიები განათლების სფეროს სთავაზობს, ასევე უკუკავშირის გზით მოხდეს სკოლების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება. გამოფენაზე დაინტერესებული პირებისთვის ორგანიზებული იყო პრაქტიკული აქტივობები კონკრეტული ტექნოლოგიის გასაცნობად.

გასული წლების გამოცდილების გათვალისწინებით, კონფერენციის ორგანიზატორების პროგნოზით, კონფერენცია ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების ახალი სტრატეგიების ჩამოყალიბებას და განვითარებას მასწავლებლების მიერ; სკოლების ხელმძღვანელებმა კი მიიღეს უფრო მეტი ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეების სასწავლო შედეგების გაუმჯობესება ტექნოლოგიების საშუალებით, ასევე როგორ უნდა დაინერგოს და შეეწყოს ხელი ციფრული კულტურის დამკვიდრებას სკოლაში; ისტ მენეჯერებმა მიიღეს ინფორმაცია სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობების შესახებ; უნივერსიტეტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სწავლა-სწავლების საჭირო უნარების თაობაზე უახლეს მიმართულებებს და ინიციატივებს; კომპანიებმა კი ინფორმაცია მიიღეს სკოლის საჭიროებებისა და გამოწვევების, ისტ-ის საკლასო ოთახში გამოყენების უახლესი ტენდენციების, ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიებისა და მოდელების შესახებ.

კონფერენციის ფარგლებში, სხვადასხვა კრიტერიუმებით, გამოვლინდნენ მონაწილეები, რომლებიც ღონისძიების სპონსორებმა დაასაჩუქრეს. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია ყოველწლიურად იმართება. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებისთვის სპეციალურად შექმნილია ვებგვერდი – getc.ge, რომელზეც ხორციელდება რეგისტრაცია. კონფერენციის მონაწილეებს, ვებგვერდის საშუალებით, შეუძლიათ შეადგინონ სასურველი დღის წესრიგი, გაეცნონ მოკლე რეზიუმეებს და შეარჩიონ ის სესიები, რომელზე დასწრებაც სურთ.

აკაკის წელი

საიუბილეო ღონისძიებები საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში

არაფორმალური განათლება, რასაც საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (დირექტორი – **ბერიკა დეკანოიძე**) მრავალწახნაგოვანი ხასიათის ღონისძიებებით ახორციელებს საჩხერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის, სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. უდავოა, რომ ფორმალური განათლება კარიერული წინსვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამიტომაც იქცა იგი მოსწავლეთა სახლის საქმიანობაში მთავარ ქვაკუთხედად.

დიდი მგოსნის 175 წლის საიუბილეოდ, შემოქმედ მოსწავლეთა და პედაგოგთა აქტიურობით, საინტერესო ღონისძიებები გაიმართა, მათ შორის: მუნიციპალური კონკურსი „ვკითხულობ აკაკის“ (ინიციატორი და ხელმძღვანელი – **ნანი ენუქიძე**), სადაც 300-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. გამარჯვებული 48 მოსწავლე და მათი პედაგოგები დიპლომებით, მადლობის ბარათებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ქვეყნის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს მაღალმთიანი ზონის სკოლებთან სხვადასხვა საგანმანათლებლო, მხატვრული თუ შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების, პროექტების განხორციელებას.

საიუბილეო დღეებში ქართული ფოლკლორის უფროსი სპეციალისტის, კლუბის „თავთუხები” ხელმძღვანელის, ნანი ენუქიძის ინიციატივით და მთელი შემოქმედებითი კოლექტივისა და ბერიკა დეკანოიძის ხელმძღვანელობით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის გაიმართა თეორიული კონფერენციები – „აკაკი და ხალხური ზეპირსიტყვიერება“, „აკაკი და ახალგაზრდობა“. მოსწავლეთა სახლის სააქტო დარბაზი მსმენელს ვერ იტევდა. საინტერესო თემები წარმოადგინეს „თავთუხების“ საპატიო წევრებმა, პედაგოგებმა: **მზია დეკანოიძემ** (საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა), **ნესტან შეყლაშვილმა** (სისვაძეების საჯარო სკოლა), **ირმა კრაველიძემ** (ჭალის საჯარო სკოლა), **ნათელა ხომასურიძემ** (ჩიხის საჯარო სკოლა), **ია დარბაიძემ** (ორღულის საჯარო სკოლა), **იზო მაჭარაშვილმა** (საჩხერის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი).

აკაკის ლექსების ხალხური ვარიანტები წარმოადგინა **ია ნოზაძემ** (ჯალაურთის საჯარო სკოლა); ოვაციით მიიღო მაყურებელმა აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, პედაგოგების: **გაგა გულიაშვილის**, **ინგა მოსიაშვილის**, **ნანი ენუქიძის**, **ნინო ხვედელიძის**, **ლალი ლაშხის**, **მანანა** და **ხათუნა აბრამიშვილების**, **ლიკა დარბაიძის**, **ხათუნა თურმანიძის**, **ზურაბ გელაშვილის** შესრულებით; მხატვრული კითხვის დეკლამატორების: **გიორგი ნამგლაძის**, **მეგი გოგუაძის**, **ტასო ფარქოსაძის**, **ნინო ლაშხის**, **თემურ ჭიტაძის**, **ანა გაბაძის**, **ჭაბუკი გოგოლაძის**, **თამარ გაბაძის**, **მეგი კესარელის**, **თამარ მწყერაშვილის**, **ნინო კუსიანის**, **გიორგი ცარციძის**, **იზაბელა სადღობელაშვილის** მიერ წაკითხული ლექსები და აკაკის ნაკვესები. კონფერენციას ამშვენებდა: ქართული ხალხური ცეკვები (ხელმძღვანელი – **ბონდო ცარციძე**) **ჭაბუკი გოგოლაძის**, **გიორგი ცარციძის**, **მეგი გოგუაძის**, **თამარ გაბაძის** შესრულებით; საესტრადო სიმღერების სტუდია „სხივების“, „ათინათის“ პატარა შემსრულებელთა სიმღერები (ხელმძღვანელები: **მაია ბაზაევა**, **გაგა გულიაშვილი**); კულტურის ცენტრის უფროსი სპეციალისტის, მომღერლის, **სოფიო ცარციძის** მიერ შესრულებული აკაკის „განთიადი“ და მისივე მოსწავლის, **სალომე ნადირაძის** ხმატკბილი ჰანგები.

საიუბილეო ღონისძიებების პიკი იყო მიმდინარე წლის 22, 24, 30 სექტემბერი და 7 ოქტომბერი, როცა 30-მდე მოსწავლე-მასწავლებლის ჯგუფი მაღალმთიან სოფლებს: ჭალოვანის (დირექტორი – **ირაკლი ტეფნაძე**), ლიჩის (დირექტორი – **ოლეგ შუბითიძე**), ცხამის (დირექტორი – **გიორგი გულიაშვილი**), ნიგვზარის (დირექტორი – **ინა ბიწაძე**), ჯალაურთის (დირექტორი – **იური ცარციძე**) საჯარო სკოლებს ესტუმრა იმავე პროექტით და უჩვენეს კინოფირი „აკაკის ცხოვრება და შემოქმედება“, „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

ნათელა ხომასურიძე, ჩიხის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე: *„მოსწავლეთა სახლის პროექტებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აკაკის ხსოვნას ჟამთასვლა ვერაფერს დააკლებს და რომ არაფორმალური სწავლება, რომელსაც პედაგოგები ათეული წლების განმავლობაში ეწევიან, ჩვენი ახალგაზრდების ინტერესის სფეროა.“*

სალომე აბრამიშვილი, არგვეთის საჯარო სკოლის დირექტორი: *„მივესალმებით არაფორმალურ სწავლებას, რომელიც სასკოლო საზოგადოებას მოსწავლეთა ინტერესების გამოვლინებაში ეხმარება. დიდი მადლობა მოსწავლეთა სახლის მთელ კოლექტივს და იდეების ავტორს ნანი ენუქიძეს. ასეთი პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და საკუთარი თავისადმი რწმენის გამყარებას.“*

გელა მაჭარაშვილი, კორბოულის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი: *„სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მათი მშობლები უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ და მადლობას უხდიან პროექტის ავტორს ნანი ენუქიძეს და ორგანიზატორებს, ყველა მხარდამჭერ ორგანიზაციას ასეთი სიხარულის მონიჭებისათვის.“*

გურამ ხარშილაძე, ნიგვზარის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე: *„მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სტუმრობისას ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ როგორი არამატერიალური ფასეულობის პატრონი ვართ და ფოლკლორის გადარჩენის საქმე საერო საქმეა. ჩვენ წვლილს შევიტანთ მისი შეგროვებისა და პროპაგანდის საქმეში. არასოდეს დაგვავიწყდება ის მშვენიერი საღამო. მადლობა მთელ შემოქმედებით კოლექტივს.“*

უფროსკლასელი მოსწავლეებისა და ფართო საზოგადოებისათვის გაიმართა ლიტერატურული სალონის (ხელმძღვანელი – **ხათუნა აბრამიშვილი**) მიერ ორგანიზებული ღონისძიება „თანამედროვე ქართველი პოეტები“ – შეხვედრა მოეწყო შესანიშნავ ქართველ პოეტთან, **ია სულაბერიძესთან**. მხატვრული კითხვის დეკლამატორებმა არაერთი ლექსი წაიკითხეს დამსწრე საზოგადოებისათვის. დასასრულს, ქალბატონმა იამ მოსწავლეთა შეკითხვებს უპასუხა.

ეს დღე საჩხერლებს არასოდეს დაავიწყდებათ. აკაკის შემოქმედების მოყვარულებს წინ კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიება ელით.

ლია ალავიძე
ა.ი.პ. საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის
დირექტორის მოადგილე
სასწავლო აღმზრდელობით დარგში

სპორტი

პატარა მორაგბეების გამარჯვება

მოგეხსენებათ, „ლელო სარასენზის“ პატარა მორაგბეებმა წარმატებით ითამაშეს საფრანგეთში, კანთან ახლომდებარე საკურორტო ქალაქ ანტიბის სარაგბო ფესტივალში „LE BELMAS“. იქ 2006 წელს დაბადებულთა ნაკრები ჩემპიონი გახდა, 2007-წლიანებმა კი მხოლოდ მთავარი ორთაბრძოლა წააგეს. თუმცა ჩვენებმა იმდენად კარგად ითამაშეს და ზრდილობა-წესიერებით იმდენად მოაწონეს თავი ფრანგებს, რომ თანამემამულეთა წინააღმდეგაც კი ადგილობრივები ჩვენებს ქომაგობდნენ. ბავშვებმა იქ დიდი გამოცდილება მიიღეს. დღეს ისევ ვუბრუნდებით ამ შეჯიბრებას, რომლის შესახებ მწვრთნელები და მოთამაშეები გვესაუბრებიან.

ლექსო ქოიავა, მწვრთნელი: *„სად მივდიოდით, ვისთან უნდა გვეთამაშა, რა დონის გუნდები იქნებოდნენ, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ტურნირისთვის მაქსიმალურად კი მოვემზადეთ, მაგრამ ამ ბიჭებს ერთად ბევრი არ ჰქონდათ ნავარჯიშევი, მხოლოდ რამდენიმე ვარჯიში ჩაატარეს. ეს ბავშვები „ლელოს“ ორი გუნდიდან ავარჩიეთ, ნაკრებივით გავაკეთეთ. ცოტა პირობითი სათქმელია, ვინაა უკეთესი, რადგან ყველა კარგია, მაგრამ საფრანგეთში წასაყვანად უფრო გამორჩეულები შევარჩიეთ. ისინი ერთი კვირა ვავარჯიშეთ, დღეში ხან ერთხელ ვარჯიშობდნენ, ხან – ორჯერ. წავედით და ძალიან მობილიზებულები ვიყავით ყველა – ბავშვებიც და მწვრთნელებიც. ამ ბავშვებმა ჩვენც დიდი სტიმული მოგვცეს თავიანთი თავდაჯერებით. საბოლოოდ პატარებში ჩემპიონები გავხდით, უფროსებმა კი მხოლოდ ერთი შეხვედრა წაგეს. თუმცა, ჩვენ მიერ მიცემული დავალებები უნაკლოდ შეასრულეს. ვცდილობდით, მათთვის ზედმეტი დავალებები არ მიგვეცა, მაგრამ რასაც ვამბობდით, საცდელად რასაც ვატარებდით და რაც მერე პროფესიულ რაგბიში სჭირდებათ, ყველაფერს იმდენად კარგად გაართვეს თავი, მწვრთნელები გაკვირვებულები დავრჩით. მათგან არ ვითხოვთ სტატიკურ, დაგეგმილ თამაშს. ესენი ჯერ იმ ასაკში არიან, როცა გასართობად თამაშობენ, დიდ რაგბიში 14 წლიდან გადადიან. ახლა კი დასახულ ამოცანებს წარმატებით გაართვეს თავი. შეიძლება ითქვას, ისინი უკვე პატარა პროფესიონალები არიან.“*

გიორგი ჭყოიძე, მწვრთნელი: *„ძალიან ძლიერი ტურნირი იყო. მიწვევა ადრე საფრანგეთში მოთამაშე ილია კახოიძემ გაგვიკეთა, მგ ზავრობისა და იქ ცხოვრების თანხა კი მშობლებმა გაიღეს. ეკიპირებაზე სპონსორებმა იზრუნეს და მოწესრიგებულები წავედით. აღსანიშნავია, რომ უცხოელებიდან მხოლოდ ჩვენ გამოვდიოდით, სხვები სულ საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონების გამარჯვებულები იყვნენ. ფესტივალზე ჩვენს სანახავად საფრანგეთში მოთამაშე ქართველი მორაგბეებიც ჩამოვიდნენ, ყველანაირად გვერდში დაგვიდგნენ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ.*

რაგბის ფესტივალები საქართველოშიც ხშირად ტარდება, მაგრამ ფრანგული გუნდები მაინც სხვაა. თან იქ სულ ნარჩევი გუნდები გამოდიოდნენ და ძლიერი შეჯიბრება გამოდგა, თუმცა ჩვენმა ბავშვებმა ყველა სირთულე დაძლიეს და გაიმარჯვეს. თავიდან პირველი ორი თამაში მართლაც გაუჭირდათ – ფრანგებმა სულ სხვა სტილის თამაში დაგვახვედრეს, უფრო მეტად ხელით თამაშობდნენ. ამას მიჩვეულები კი არიან, მაგრამ საფრანგეთის ფაქტორი მაინც ახდენდა გავლენას – იცოდნენ, რა ძლიერ ქვეყანაშიც იყვნენ, მსოფლიოს თასს ყველამ უყურა და თავიდან ცოტა შიში ჰქონდათ, ორი შეხვედრა ფრედ დაასრულეს, მაგრამ მერე ნელ-ნელა გამოასწორეს თამაში, ბოლოსკენ კიდევ უფრო დახვეწეს და გაიმარჯვეს კიდეც. ხელით თამაშს ამათაც ვაჩვევთ, ზოგადად – ახალ თაობას, ახლა თუ არ ისწავლეს, მერე ვერ ისწავლიან. იქ შერკინებაც იყო, მიწოლა, რაც გაუჭირდათ, მაგრამ მაინც აჯობეს და ფრანგებისგან დამსახურებული ტაშიც მიიღეს. საერთოდ, იქაურები ძალიან გვქომაგობდნენ – ფრანგულ გუნდებთან შეხვედრაში მაყურებელი მაინც ჩვენ გვიჭერდა მხარს და გვამხნევებდა. მაგალითად, უმცროსებთან ფინალში ყველა ფრანგული გუნდი ჩვენ გვიჭერდა მხარს. ამ ბავშვებმა ისე კარგად ითამაშეს, აპლოდისმენტები არავის დაუშურებია. ამათაც თავი შინ ეგონათ, ისეთ ატმოსფეროში თამაშობდნენ.

ფრანგებს ძალიან მოეწონათ ჩვენი ბავშვები. თავიდან გუნდურად კი დაიწყეს თამაში, მაგრამ მერე ინდივიდუალურად გაგრძელეს, ამ მხრივ უფრო მოეწონათ იქაურებს. იქ ინდივიდუალური პრიზები არ იყო დაწესებული, მაგრამ მოდიოდნენ იქაურები და ჩვენს ბავშვებს ხელს ართმევდნენ, ულოცავდნენ კარგ თამაშს – ლუკა ხორბალაძეს, საბა ციხელაშვილს და კიდევ ბევრ სხვას... შემოთავაზებებიც მაშინვე წამოვიდა და როგორც გამარჯვებულები, უკვე მიგვიწვიეს გაზაფხულზე.

სხვათა შორის, ინგლისშიც მიგვიწვიეს ტურნირზე. უკან დაბრუნებულებს თურქეთის აეროპორტში ერთ-ერთი იქაური სარაგბო სკოლის პრეზიდენტი შეგვხვდა. ჩვენი ბავშვები იმდენად კარგად, ზრდილობიანად იქცეოდნენ, ფრანგებს პიროვნულადაც მოეწონათ. იმ ბრიტანელმაც თურმე ზრდილობიანი ქცევების გამო მიაქცია მათ ყურადღება და გვკითხა, რომელი სპორტის სახეობა ხართო. როცა გაიგო, ვინც ვიყავით, ასეთი ზრდილი, ჭკვიანი, წყნარი რაგბისტები ცხოვრებაში არ მინახავსო. ჯერჯერობით, მასთან მოლაპარაკება მიდის და ვნახოთ, როგორ იქნება. იმედია, იქაც წავალთ და კიდევ ვასახელებთ საქართველოს.“

ლუკა შუბითიძე (გამარჯვებულთა კაპიტანი): *„საფრანგეთში ადრეც ვიყავი ტურნირზე, მაშინ მესამეზე გავედით, ახლა კი გავიმარჯვეთ. ახლანდელი შეჯიბრება ბევრად ჯობდა ადრინდელს, უფრო ძლიერი გუნდები იყვნენ. ყველაზე მეტად ფინალში გაგვიჭირდა, თუმცა მაინც მოვიგეთ და ძალიან გახარებული ვარ ამით. საქართველოშიც ბევრჯერ მოგვიგია და გაგვიმარჯვია, მაგრამ იქ უფრო ძლიერი გუნდები იყვნენ და სჯობდა იქაური შეჯიბრება.“*

საბა ახვლედიანი, მოთამაშე: *„ამ ტურნირით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ძლიერი შეჯიბრება იყო, წარმატებით გამოვედით და ძლიერი გუნდები დავამარცხეთ. ამასთან, დიდი გამოცდილებაც მივიღეთ. ჩვენ დიდი სიხარული მოვუტანეთ საქართველოს, ვამაყობ ჩემი გუნდით და ჩემი თავით. ვიცოდით, რომ იქ ძლიერი გუნდები დაგვხვდებოდნენ, მაგრამ თანაბარი ძალისანი აღმოვჩნდით და წარმატებით დავასრულეთ გამოსვლა. ეს გამარჯვება სამომავლოდაც დიდი სტიმულია.“*

საბა ციხელაშვილი, მოთამაშე: *„მეც ძალიან მომეწონა ეს ტურნირი და საფრანგეთი. დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები ვიყავით ჩვენ და ფრანგები. ნამდვილად გვაქვს სათქმელი, რომ წავედით საფრანგეთში და მოვიგეთ. მე პირველად ვიყავი უცხოეთში. ტურნირიდან კი პირველ თამაშს გამოვარჩევ – დასაწყისში, რამდენიმე წამით, მეგონა, რომ ვერ ვითამაშებდით და წავაგებდით, მაგრამ ეს მღელვარება დავძლიე. ჩვენთან ეროვნული ნაკრების მოთამაშეებიც მოვიდნენ, რომლებიც ფრანგულ კლუბებში გამოდიან, შეგვიფასეს თამაში და მოგვცეს რჩევები. იქ ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ. იქნებ ამდენს ჩვენი თავისგანაც კი არ ველოდით. კარგი იქნება, სხვა ბავშვებიც წაიყვანონ ასეთ შეჯიბრებებში, რითაც ძალიან დიდ გამოცდილებას მიიღებენ. აქ არიან ბავშვები, რომლებიც ჩემსავით არასოდეს ყოფილან უცხოეთში ტურნირზე.“*

პირველი საერთაშორისო ტურნირი

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

15 ნოემბერს საქართველოს ძიუდოს აკადემიამ სკოლებს შორის პირველ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა კარატეში. მისი ინიციატორები, ერთობლივად, იყვნენ საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული და კარატეს ფედერაციები, რომელთაც ფინანსური საკითხების მოგვარებაში დიდი დახმარება გაუწია თბილისის მერიის სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა. ქართველი მოსწავლეების გარდა, მასში უცხოეთის 7 ქვეყნიდან ჩამოსული მოზარდებიც მონაწილეობდნენ: სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქეთი, უკრაინა, ირანი და რუსეთი. ტურნირს საპატიო სტუმრების სტატუსით ესწრებოდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები კარატეში თურქეთიდან – **ჰალდუნ ალაგასი** და **იასერ შაჰინთექინი**.

ზემოაღნიშნული ფედერაციების ერთობლივი თანამშრომლობით, ბოლო თვეებში, ანალოგიური ტურნირი კარატეში უკვე ჩატარდა ჯერ საქალაქო, შემდეგ კი ქვეყნის მასშტაბით ინტერესი იმდენად დიდი იყო, გადაწყდა, საერთაშორისო რანგის შეჯიბრება ჩაეტარებინათ. სწორედ ამიტომ მოიწვიეს ამჯერად უცხოელები და ჩანაფიქრმაც გაამართლა – მასში 400-მდე მოზარდი მონაწილეობდა. ტურნირი ჩატარდა როგორც ბიჭებში, ასევე გოგონებში, რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში – 8-დან 18 წლამდე. თუმცა, ამ „ნოუ-ჰაუმ“ არა მხოლოდ სკოლების ინტერესი გამოიწვია, კარატეს მსოფლიოს ფედერაციასაც ძალიან მოეწონა იდეა და აღნიშნულ შეჯიბრებას მათი წარმომადგენლებიც დაესწრნენ. თან ახალი იდეებიც გაჩნდა და გადაწყდა, რომ გაიზრდება მისი ავტორიტეტი, რანგი და მასშტაბი – მაისის ბოლოს თბილისში ჩატარდება მსოფლიოს თასი კარატეში სკოლებს შორის. კარატეს ფედერაციის პრეზიდენტ **კახა ბასილიას** ცნობით, იმ ახალ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი უკვე 50-მდე ქვეყანამ გამოთქვა!

თავად ამ შეჯიბრებას რაც შეეხება, მაღალ დონეზე ჩატარდა და კარგად იყო ორგანიზებული. სტუმრებიც კმაყოფილნი დარჩნენ როგორც შექმნილი პირობებით, ასევე ტურნირის სიძლიერით, წმინდა სპორტული მხარით. პრიზიორები დაჯილდოვდნენ მედლებით, სიგელებითა და დიპლომებით.

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკო მურღულია
ისტორია
ტესტები ეროვნული გამოცდისთვის
~~9~~ ლარი 8 ლარი

ისტორია
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~6~~ ლარი 5 ლარი



ქეთევან ტატიშვილი, ზურაბ ბერაია
ფიზიკა
თეორიული საკითხები
და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~8~~ ლარი 7 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია
სერიიდან ინტელექტი სკოლას

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 სეზონიერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.

ამინდი
არქიტექტურა
კრიმინალისტიკა
ჯანსაღი კვება
მთები
ოლიმპიური თამაშები
მეკობრეები
ქიმია
ხალხთა დიდი გადასახლება
მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. სოფლის ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძინელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

გენდერული თანასწორობა და ბიზნესი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ღონისძიება გაიმართა, თემაზე „ქალთა უფლებების გაძლიერების პრინციპები – გენდერული თანასწორობა და ბიზნესი: საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამსაქმებლების თანამშრომლობა". შეხვედრას დაესწრო და მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი. ღონისძიების ფარგლებში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მაღრაძემ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში ერიკა კვაპილოვამ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

შეხვედრის თემას წარმოადგენდა მსჯელობა გენდერულ თანასწორობაზე და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამსაქმებლების მიერ ქალთა უფლებების გაძლიერების პროცესში შეტანილ წვლილზე. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ბიზნესის და განათლების სფეროს წარმომადგენლები.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო და გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებენ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ძალადობის აღმოფხვრას, ქალების ეკონომიკური და უფლებრივი გაძლიერების ხელშეწყობას, რაც ცალსახად უკავშირდება განათლებას, შესაძლებლობების სრულად გამოყენებას და პროფესიაში შესვლასა და კარიერულ ზრდას.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს საინჟინრო, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიის სფეროში, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის – ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას. შესაბამისად, კომპაქტის ერთ-ერთი ამოცანაა განათლებაში ბიზნესისა და კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული და უმაღლესი განათლების უზრუნველყოფისთვის. კომპაქტის ფარგლებში ხორციელდება პროექტები ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ" განმარტავს, რომ მიუხედავად სქესისა, ქალსაც და მამაკაცსაც, აქვთ თანაბარი უფლება, თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, აირჩიონ სასურველი პროფესია, სპეციალობა. სწორედ ამ თანასწორობას უზრუნველყოფს სახელმწიფო განათლების მხრივ – საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა.*

გარდა ამისა, ქალების დამატებით ჩართულობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებს. მოგეხსენებათ, რომ გარკვეულ სპეციალობებზე სწავლა უფასოა, გარდა ამისა, სახელმწიფო სრულად აფინანსებს პროფესიულ განათლებას სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ქალთა მონაწილეობა პროფესიულ განათლებაში, ბოლო სამი წლის განმავლობაში, 9%-თაა გაზრდილი. ამ პროცესებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდამჭერია ათასწლეულის გამოწვევის 140-მილიონიანი კომპაქტი, ასევე მნიშვნელოვან საქმიანობას ახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ვფიქრობთ, ერთიანი ძალისხმევით ხელს შევუწყობთ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას როგორც განათლების, ასევე დასაქმების სფეროშიც."

მაგდა მაღრაძე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი: *„დღეს გაიმართა შეხვედრა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თემაზე. შეხვედრა ფონდმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, გამართა. ხელი მოვაწერეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ფარგლებში, ფონდი, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად, გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს ქალთა ეკონომიკური აქტივობების ზრდისა და თანაბარი რესურსების მიწოდების ხელშესაწყობად, განსაკუთრებით განათლების სექტორში.*

ფონდის აქტივობა გახლავთ საქართველოში პროფესიული, უმაღლესი და ზოგადი განათლების მიმართულებით პროექტების განხორციელება. ამ მხრივ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გენდერული თანასწორობის და რესურსებისადმი თანაბარი წვდომის უზრუნველყოფაა.

გარდა ამისა, ჩვენ დღეს გამოვაცხადეთ ახალი აქცია – აქტივობა ბიზნეს წრეების წარმომადგენლებისთვის. ფონდი ბიზნესის წარმომადგენლებს, მათ მიერ გენდერული თანასწორობის და რესურსებისადმი თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის საქმეში გაწეული საქმიანობის შეფასების შედეგად, განსაკუთრებული პრიზით დააჯილდოვებს. დაჯილდოების ცერემონია მომავალი წლის მარტში გაიმართება და გამოვლინდება ის წარმატებული ბიზნესები, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საქმეში."

სერიის ფასი – 17.70ლ

ქართული ენის კრებულები

ერთიანული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები" შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის" სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40ლ

სიახლე

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა / წიგნის თარო

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდის სიმულაცია სახლში!

თითოეული კრებულის ფასი – 9.90ლ

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

CMYK